ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მესამე

კომუნისტი

საქ. კ. პ.
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და წატ.
დეპ. საბ.
მათის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კოჯრის ქ. № 4. მე-2 სართული
რედაქტორთან საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქციის 14—76. შტაბის 10—38

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 3—42
ხელის მოწერის ფასი: საქართველოში 230.000 მ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1200 მ. 1922 წ. ნიშნებით განცხადება—50 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 1 მილ. მ.

დღიური

პარიზის კომუნის 52 წლის თავი.
რუსეთში: პოლონელ კომუნისტების გაცვლა [illegible] დიქტატურის მადლობა რუსეთის მუშებისადმი. კომინტერნის მოწოდება.
შვეციაში: კომუნისტების გამარჯვება, ნაციონალთა გამოცვლის მოლოდინი.
იაპონიაში: თეთრგვარდიელ მერკულოვის გაძევება იაპონიიდან.
ახლო აღმოსავლეთში ფრანგები სიმაგრეებს აგებენ, ეროვნული კრების შეწყვეტა.

№ 61 კვირა, 18 მარტი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000 მან. № 61

საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატი იგონებს დღეს მუშათა კლასის გმირულად დაღუპულ შვილებს,

პარიზის კომუნარებს.

მათი დროშა ხელთ უპყრია დღეს ბრძოლისა და გამარჯვებისათვის ამდგარ მუშათა კლასს, რუსეთის პროლეტარიატისა და კომინტერნის მეთაურობით.

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნას!

პარიზის კომუნა

საფრანგეთის დედა-ქალაქში, რომელიც დღეს მსოფლიო რეაქციის მთავარ კერას წარმოადგენს, 52 წლის წინედ მოხდა მანამდე ისტორიაში უჩვეულო და განუზომელი მნიშვნელობის ამბავი. პარიზის მშრომელ მასსამ მოახდინა პირველი და გრანდიოზული ცდა.

ექსპლოატატორთა კლასის დამხობის, ძალა-უფლების დაპყრობის, მშრომელთა სახელმწიფოს დაარსების. კიდეც ჩაიგდო მან ძალა-უფლება ხელთ, და 72 დღის განმავლობაში ედგა მას სათავეში, ამ ხნის განმავლობაში აწარმოებდა თავგანწირულ და აღფრთოვანებულ ბრძოლას მის შესანარჩუნებლად უამრავ მოზღვავებულ მტრებისაგან.



ვარლენი

მუშა, წევრი კომუნის, ინტერნაციონალის ერთი ცნობილი მოღვაწეთაგანი გაუსამართლებლათ დახვრეტილი 1871 წლის 28 მაისს.

ეს მტრები იყვნენ ვერსალში გახიზნული ძველი მთავრობა და საზოგადოების ყველა ნაძირალები და შავი ბანდები, მუშათა კლასის სისხლის მსმელ ტიერის მეთაურობით.

ამავე დროს პარიზი გარშემორტყმული იყო გერმანიის ურდოებით, რომელნიც დღითი-დღე ეპირებოდნენ პარიზში შემოჭრას და აჯანყებულ მუშების გასრესას.

ვერსალელების ცდა მიმართული იყო არა შემოსეულ გარეშე ძალისაგან ქვეყნის განთავისუფლებისაკენ; მას არც შეეძლო ნაციონალურ თავდაცვის საქმის წარმოება. ძველი ხელისუფლების აპარატი გახრწნილი იყო და ფართე მასებს მოწყვეტილი.

მას უფრო „დიდი" ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი: პარიზის აჯანყებულ მუშების განადგურება და თუნდაც ნაციონალური ღალატის, უცხო ძალის წინაშე ქედის მოხრის საფასურით თავის ძალა-უფლების დაბრუნება.

და აქ ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა მემამულეების და ბურჟუაზიის „მამულიშვილობა", „პატრიოტიზმი", რომელიც მათ წამ და უწუმ პირზე აკერათ. ისინი აღმოჩნდნენ თავის ერის, თავის ხალხის მოღალატენი.

მხოლოდ რევოლიუციონური პროლეტარიატი იბრძოდა თავის ქვეყნის განსათავისუფლებლად შემოსეულ პრუსიელ ურდოებისაგან, ისე სამშობლოს გამცემი და მუშათა კლასის შეურიგებელი მტრების—თავისავე სამშობლოს მემამულეების და კაპიტალისტების ასალაგმავად.

ეს ბრძოლა, რომელმაც, როგორც ვსთქვით, გასტანა 72 დღე, საშინელი ტრაგედიით დასრულდა მუშათა კლასისათვის. გაიმარჯვეს ვერსალელებმა, რომლებმაც პარიზის ქუჩები მორწყეს რევოლიუციონურ მასსების ზღვა სისხლით. წარმოუდგენელია და უწერელი ის სიმხეცე, რომელიც გამოიჩინეს ვერსალელ თეთრგვარდიელებმა. მათ მოაწყვეს მუშათა კლასზე ნადირობა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. გაუსამართლებლად აწამებდნენ და ხვრეტდნენ ყველას, როგორც მოესურვებოდათ. არ ინდობდნენ არავის, მამაკაცს თუ დედა-კაცს, მოხუცს თუ ბავშვს. პარიზის მიდამოები მოიფინა [illegible] ათასობით მშრომელთა გვამებით, მშრომელთა, რომელთაც იმდენი „თავხედობა" გამოიჩინეს, რომ მოითხოვეს ადამიანური უფლებები.

პარიზის კომუნამ მოგვცა საუკეთესო დამტკიცება იმის, თუ რა შეუბრალებელია ექსპლოატატორთა ხროვა თავის კლასიური მოწინააღმდეგის მიმართ.

მაგრამ უფრო საყურადღებოა პარიზის კომუნის სხვა გაკვეთილები.

რა მიზეზებმა გამოიწვიეს მისი დამარცხება?

პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პარიზის მშრომელთა აჯანყება იყო სტიქიური ხასიათის. ერთით აქ არ იყო ნათლად გათვალისწინებული გზა მუშათა კლასის რჯვების.

პარიზის კომუნის მომქმედ ჯგუფებს არ ჰქონდათ შემუშავებული განსაზღვრული გეგმები და მოქმედების შესაფერი მეთოდები. ყველაფერში მოსჩანდა ერთგვარი ბუნდოვანობა, გაურკვევლობა.

ამასთან დაკავშირებით მშრომელი მასსა არ იყო ორგანიზაციულად დარაზმული. არ იყო ცენტრალური ძალა, რომელიც მასსის სტიქიურ რევოლიუციონურ ენერგიას საჭირო კალაპოტში მოაქცევდა და სათანადო მიმართულებას მისცემდა.

არ იყო პარტია, მუშათა, კომუნისტური პარტია, რომელიც მშრომელ მასსებს დაუსახავდა მკაფიო მიზნებს, გაურკვევდა მათ მდგომარეობას, ძალთა განწყობილებას, მოწინააღმდეგის ბუნებას, ორგანიზაციულად შეადუღებდა მათ, გამოიმუშავებდა ბრძოლის მეთოდებს კლასიურ მტრების მოსასპობათ.

ამით აიხსნება ის დაბნეულობა, მერყეობა, მოქმედების დაგვიანება, მოკრძალება და სულგრძელობა ბურჟუაზიის და ბურჟუაზიული საკუთრების მიმართ, რითაც აღბეჭდილია კომუნარების მოქმედება.

ყველაფერ ამან საშუალება მისცა ვერსალელებს გონზე მოსულიყვნენ, ძალები შემოეკრიფათ რევოლიუციონურ პარიზის დასაპყრობად, ყველა ამან პარიზის კომუნას დაღუპვა განუმზადა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ პარიზის რევოლიუციონერები მოწყვეტილი იყვნენ საფრანგეთის დანარჩენ მასსებს. მათ ვერ მოახერხეს კავშირის გაბმა პროვინციებთან, კერძოდ გლეხურ მოსახლეობასთან. მათ ვერ შესძლეს მთელი მშრომელ მოსახლეობის ჩაბმა რევოლიუციონურ ბრძოლაში. ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ გაეფანტათ ის საშინელი ცილისწამებები და პროვოკაცია, რომლებსაც კომუნარების შესახებ ავრცელებდნენ ვერსალელები.

დომბროვსკი

კომუნის სამხედრო საქმეთა რწმუნებული, დაიღუპა ბარიკადებზე.

არა ნაკლებ საყურადღებოა ის გარემოება, რომ პარიზის კომუნარებს ზურგს არ უმაგრებდა მუშათა საერთაშორისო მოძრაობა, რომელსაც მხოლოდ ის იყო მაშინ ეყრებოდა ორგანიზაციული საფუძველი. ყველა ამან განსაზღვრა პარიზის კომუნის ბედი. ის სისხლში იქნა ჩახშობილი, მიუხედავად კომუნარების რევოლიუციონურ ალტყინებისა და თავგანწირვისა.

მაგრამ მათ თავდადებას და ცდას ამაოდ არ ჩაუვლია მსოფლიოს მუშათა კლასისათვის. პარიზის კომუნა მასაზრდოებელია მასსათა რევოლიუციონურ განწყობილების, ის გზის მანათობელი ვარსკვლავია საერთაშორისო პროლეტარიატისათვის. პარიზის კომუნის გაკვეთილებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ; პარიზის კომუნაზე მუშათა კლასი სწავლობს, თუ როგორ უნდა ბრძოლა და მოქმედება როგორც ჩვეულებრივ დროს, განსაკუთრებით კი რევოლიუციის ხანაში.

კერძოდ საბჭოთა ფედერაციის პროლეტარიატმა, რომელმაც პარიზის კომუნის 48 წლის შემდეგ ჩაიგდო ხელთ ძალა-უფლება, სავსებით გამოიყენა მისი შეცდომები და დადებითი მხარეები.

საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასს სავსებით აქვს შეგნებული ის მიზნები, რომლებისთვის ის იბრძვის, აგრეთვე ამ ბრძოლის მეთოდები და საშუალებები. ამასთან ჩვენ გვყავს მძლავრი კომუნისტური პარტია, რომელიც ხელმძღვანელობს მთელ რევოლიუციონურ მოძრაობას და მუშაობას, პარტია, რომლის უყოლობა შეადგენდა პარიზის კომუნის ერთ ძირითად უბედურებას.

ჩვენმა მუშათა კლასმა შესძლო მჭიდრო კავშირის გაბმა ქვეყნის ყველა მშრომელებთან, რაც არის მთავარი საწინდარი მისი საბოლოო გამარჯვების.

ამასთან მუშათა საერთაშორისო მოძრაობამ პარიზის კომუნის შემდეგ გადადგა გიგანტური ნაბიჯები. დღეს უკვე არსებობს მუშათა კლასის მსოფლიო შტაბი, კომინტერნი, რომელიც აერთიანებს ყველა ქვეყნის რევოლიუციონურ მასსებს, ასე რომ საბჭოთა ფედერაციის მუშათა კლასი, მიუხედავად ბურჟუაზიული გარემოცვისა, სრულებით არ გრძნობს თავს ისე ობლად, როგორც პარიზის კომუნარები. ამიტომაცაა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებმა გაიმარჯვეს, ალაგმეს ექსპლოატატორები და მეექვსე წელიწადია, რაც მაღლა უჭირავთ პროლეტარულ რევოლიუციის დროშა.

ჩვენმა მუშათა კლასმა შური იძია პარიზის კომუნარების ჯალათებზე და აღუმართა დაღუპულ გმირებს, ცოცხალი ძეგლი საბჭოთა რესპუბლიკების სახით. ჯერი დამდგარია სხვა ქვეყნებზე. მათ რიცხვში პირველ რიგში სდგას საფრანგეთი.

საფრანგეთის პროლეტარიატს მოსვენებას არ აძლევს 52 წლის წინად დაღუპულ ძმების აჩრდილი, ისინი მოითხოვენ მისგან სამაგიეროს გადახდას.

და შორს არ არის ის დრო, როცა საფრანგეთის და საერთოდ ყველა ქვეყნის მუშათა კლასი პარიზის კომუნის გმირების აღთქმას პირნათლად შეასრულებს, ბოლოს მოუღებს გახრწნილ ბურჟუაზიის ბატონობას და დაამყარებს მსოფლიო კომუნას, მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკას.

ამას ავალებს მსოფლიო პროლეტარიატს დაღუპულ კომუნარების ხსოვნა.

კომუნის შეცდომა

1871 წელს გამოცხადებულ იქნა პირველად ისტორიაში მუშათა მთავრობა—კომმუნა. საფრანგეთის პროლეტარებმა პირველათ იდვეს თავს მუშათა განთავისუფლების დიადი ამოცანა. მათი დამსახურება მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე უდავოა.

მათი გმირული მაგალითი ჩვენს გულში ცხოვრობს. მათი სისხლი, ვერსალის ჯალათების მიერ დაღვრილი, ჩვენს გულში სცემს. ნახევარ საუკუნის შემდეგ ისინი ცოცხლები არიან ჩვენთვის, კომუნისტურ ინტერნაციონალისათვის, რომლის ძალები დღითი-დღე იზრდება ასეულ ათასის და მილიონი მუშათა სახით.

მაგრამ ამაზე არა გვსურს ეხლა საუბარი. ამ ჟამათ ჩვენ, დღევანდელ დღის მებრძოლთ, გვესაჭიროება კარგათ გავითვალისწინოთ კომმუნის შეცდომები. რაში იყო მისი სისუსტე? რისთვის დაეცა ის?

პარიზის მუშათა 1871 წლის 18 მარტის აჯანყება **პარტიის** რაიმე ხელმძღვანელობის გარეშე მოხდა. პარიზის გმირულმა პროლეტარიატმა ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო უფრო ადრე, ვიდრე ის ჩამოყალიბდებოდა დამოუკიდებელ კლასიურ პარტიაში, რომელიც ყოველთვის ითვალისწინებს, ვინაიდან მას აქვს მკაფიო რევოლიუციონური პროგრამა, რომელსაც შეუძლია შეცდომების გასწორება და მასსებთან მჭიდრო კავშირის საშუალებით შეგნებულ გზაზე მათი დაყენება და რომელიც ძლიერია შინაგან მთლიანობით. ამას იყვნენ მოკლებული კომმუნარები და ამაში იყო მათი უბედურება. კომმუნა აერთიანებდა წვრილ ბურჟუაზიულ ანარქისტის პრუდონის მიმდევრებს, ნახევრად-რევოლიუციონურ ბლანკისტებს და უპარტიო მუშათა მასსებს. „სახელმწიფოს გარეშე" რევოლიუციის მქადაგებლებს—პრუდონისტებს უნებლიეთ მოუხდათ მასსების დარაზმვა **დიქტატურის** განსახორციელებლათ. შეთქმულების მოხრენი—ბლანკისტები სურვილის წინააღმდეგ ეძიებდნენ **მასსიურ** დახმარებას, უპარტიო მუშები კი **სტიქიურათ** ასწორებდნენ მეთაურების შეცდომებს, ყოველივე ეს მერყეობისა და დავის წყაროთ ხდებოდა იმ მომენტებში, როდესაც **გამარჯვებლად** საჭირო იყო **მოქმედება**.



ფერრე

წევრი კომუნის, ბლანკისტი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, დახვრეტილი.

კომმუნა ვერ ჩამოისხა მშრომელთა მტკიცე **სახელმწიფოებრივ** ორგანიზაციაში. ის ვერ მოქმედებდა მტკიცე ხელით იქ, სადაც ყოველივე სისწრაფე, შეტევასა და სიმარჯვეზე იყო დამოკიდებული.

ამიტომ შეეძლო ვერსალში გაქცევა და იმავე დროს ჯარების წაყვანა სისხლის მღვრელ ბურჟუა-ტიერს.

ამიტომ იყო, რომ მტერს თავს ანებებდნენ მაშინ, როდესაც საჭირო იყო მისი დევნა.

ამიტომაც სწარმოებდა მტერთან მოლაპარაკება იმ დროს, როდესაც საჭირო იყო მისი განადგურება.

ამიტომაც თავდაცვის ორგანიზაცია მოხალისეთა რაზმებს არ გასცილებია.

ამიტომ არ იყო ცენტრალისტური მმართველობა უდიდეს გამწვავების მომენტში.

პარიზის პროლეტართა კომმუნა გარს შემორტყმული იყო ომის დროს ჩასუქებულ მსხვილ-ჯიბა სოფლის კულაკებით, რომელთაც სწყუროდა „წეს-რიგი" და გამოჭრილ ადვოკატების, ქურის გენერლებისა და ბანკირების მფარველობის ქვეშ სარგებლის მოხვეჭის თავისუფლება. პარიზის რევოლიუციონურ მუშათა და სოფლის მშრომელთა შორის ამართული იყო პროვინციის უგუნურებაზე დაყრდნობილი ვერსალის ხიშტების კედელი. „კომმუნარებს" განმანაწილებლების სახელს უწოდებდნენ, ეშინოდათ მათი, თუმცა ისინი მტრები იყვნენ **მხოლოთ** მემამულეების და ბურჟუაზიისა. და ამაშიაც მდგომარეობდა კომმუნის სისუსტე.

პარიზის კომუნა იშვა მაშინ, როდესაც ჰქრებოდენ 1848 წლის უკანასკნელი მუგუზლები. პროლეტარული რევოლიუცია ჯერ კიდევ შორს იყო. კომმუნის დამარცხების შემდეგ „მილიარდების სიტყვით" იყო ჩაქრობილი გერმანიის რევოლიუცია.

კომმუნა დამარცხდა იმიტომ, რომ მას აკლდა პარტიული დიქტატურა, სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, გლეხობასთან კავშირი და მსოფლიო რევოლიუციონური კრიზისი.

მისი აღიარების დღიდან ნახევარ საუკუნის შემდეგ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი კომმუნის დიად ხსოვნას ზეიმობს.

მას შემდეგ განვლო ნახევარმა საუკუნემ, მეტმა და ამ დროს უნაყოფოთ არ ჩაუვლია.

კომმუნა რუსეთის მუშებისა და გლეხების, მსოფლიო კომმუნის კერა, ძლიერია მით, რომ მან გაასწორა პარიზელ მუშათა კომმუნის შეცდომები და სისუსტე.

პროლეტარიატმა იცის თავისი პარტიის ფასი, მან შეითვისა სახელმწიფოებრივი ხელოვნება გამარჯვებისა, მსოფლიოს ყველა კუთხეში მან გააბა განუწყვეტელი ძაფები, მან იცის როგორ წაიყვანოს მერყევი ელემენტები წინ—და სულ წინ.



ჰორტენზია დავიდი

კომუნის ფლოტში მოსამსახურე არტილერისტი—ქალი

საუკუნო დიდება პარიზის კომმუნას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის უძლეველ ძალას—მსოფლიო კომმუნის ციხე-სიმაგრეს!

პარიზის კომუნა

(ნაწყვეტები კ. მარქსის წიგნიდან: „სამოქალაქო ომი საფრანგეთში")



კარლ მარქსი

I.

1871 წლის 18 მარტს პარიზი გამოღვიძებულ იქნა მქუხარე ყიჟინით: „გაუმარჯოს კომუნას!"

რა არის ეს კომუნა, ეს სფინქსი, რომელმაც ასეთი მძიმე ამოცანა დაუყენა ბურჟუაზიულ აზროვნებას?

„პარიზის პროლეტარებმა", სწერდა 18 მარტის მანიფესტში ცენტრალური კომიტეტი, იგემეს რა დამარცხება და გაბატონებულ კლასების ღალატი, გაიგეს, რომ დადგა დრო, როდესაც მათ თვითონ უნდა დაიცვან ქვეყანა და ხელში აიღონ „საზოგადოებრივი საქმეების მართვა-გამგეობა... ისინი მიხვდნენ, რომ მათი მოვალეობაა, რომ მათ უდავო უფლებას შეადგენს გახდნენ თავიანთი ბედის გამგენი და თავიანთ ხელში ჩაიგდონ მთავრობის ძალაუფლება".

მაგრამ მუშათა კლასს არ შეუძლია დაიპყრას მზა-მზარეული სახელმწიფოებრივი მანქანა და თავისი საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენოს იგი.

ცენტრალისტური სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, თავის ყველგან არსებული ორგანოებით, რომელიც დამყარებულია სისტემატიურ და იერარქიულ განაწილების პრინციპზე: რეგულიარულ არმიით, პოლიციით, ბიუროკრატიით, სასულიერო წოდებით და მოსამართლეებით, არსებობს აბსოლიუტურ მონარქიის დროიდან, როდესაც იგი უძლიერეს იარაღს წარმოადგენდა მაშინ ამომავალი ბურჟუაზიულ საზოგადოებისათვის ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ადგილობრივი და აზნაურული პრეროგატივები, ადგილობრივი პრივილეგიები, ქალაქების და ციხეების მონოპოლიები და პროვინციალური დებულებები ყველა ეს საშუალო საუკუნოების ნაშთები აფერხებდენ მის განვითარებას. საფრანგეთის XVIII საუკუნის რევოლიუციის უძლეველმა ცეცხლმა გაგავა წარსული საუკუნოების გამოუსადეგარი ნაგავი და გასწმინდა, ამგვარად, საზოგადოებრივი ნიადაგი უკანასკნელი დაბრკოლებებისაგან თანამედროვე სახელმწიფოს შენობის მოსაწყობად. ეს შენობა აღმართული იქნა პირველ იმპერიის დროს, რომელიც თავის მხრივ გამოწვეული იყო ძველი ნახევრად ფეოდალურ ევროპის კოალიციონურ ომებით ახალი საფრანგეთის წინააღმდეგ.

ბატონობის ფორმების შემდეგი განვითარების დროს, მთავრობა დაუქვემდებარდა პარლამენტის კონტროლს, ე. ი. შეძლებულ კლასების უშუალო კონტროლს. ერთის მხრივ იგი გადაიქცა აურაცხელ სახელმწიფოებრივი ვალების და მძიმე გადასახადების გამავრცელებლად, იგი გახდა—უთანხმოების მიზეზი გაბატონებულ კლასების მეტოქე ფრაქციებსა და ავანტიურისტებს შორის, რომელთაც იგი იზიდავდა თავისი ადმინისტრატიული ძალით, შემოსავლით და თანამდებობებით, რომელიც მის ხელში იმყოფებოდა; მეორეს მხრივ, საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებათა ზეგავლენით შეიცვალა მისი პოლიტიკური ხასიათიც. იმისდა მიხედვით, თუ როგორ ანვითარებდა, აფართოვებდა და აღრმავებდა კლასობრივ წინააღმდეგობას კაპიტალსა და შრომის შორის თანამედროვე მრეწველების პროგრესი, სახელმწიფოებრივი ხელისუფლება უფრო და უფრო იღებდა ისეთ საზოგადოებრივ ძალის ხასიათს, რომელიც ემსახურებოდა მუშათა კლასის დამონავებას, იღებდა კლასიურ ბატონობის იარაღის ხასიათს. თვითეულ რევოლიუციის შემდეგ, რომელიც წარმოადგენდა ერთ ნაბიჯს წინ კლასობრივ ბრძოლაში, სახელმწიფოებრივი ხელისუფლებას, როგორც ჩაგვრის იარაღის ხასიათი უფრო და უფრო ნათელი ხდება".

II.

კომუნა იყო პირდაპირი მოწინააღმდეგე იმპერიისა. ლოზუნგი: „გაუმარჯოს სოციალურ რესპუბლიკას", რომლითაც პარიზის პროლეტარიატი ესალმებოდა თებერვლის რევოლიუციას, გამოხატავდა მხოლოდ გაურკვეველ ლტოლვას ისეთ რესპუბლიკისაკენ, რომელიც არა მარტო მოსპობდა კლასიურ ბატონობის მონარქისტულ ფორმას, არამედ თვით კლასიურ ბატონობასაც მოუღებდა ბოლოს. კომუნა არ იყო ასეთი რესპუბლიკის განსაზღვრული ფორმა.

პარიზი, ძველი მთავრობის ყოფილი რეზიდენცია და ცენტრი, აგრეთვე საფრანგეთის მუშათა კლასის საზოგადოებრივი ცენტრი,—პარიზი იარაღით ხელში აუჯანყდა ტიერის და მემამულეთა პალატის ცდას, აღედგინათ და განემტკიცებიათ ეს ძველი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება, რომელიც იყო ძველი იმპერიის მემკვიდრე.

პარიზს შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ვერსალისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ ალყის შემორტყმამ გაანთავისუფლა იგი არმიისაგან, რომლის ადგილი დაიკავა ეროვნულმა გვარდიამ, რომლის უმეტესი ნაწილი მუშებისაგან შესდგებოდა. ეს ფაქტი მტკიცე დაწესებულება უნდა გადაქცეული და ამიტომ კომუნის პირველი დეკრეტი იყო დეკრეტი რეგულიარული ჯარის დაშლის და მისი შეიარაღებული ხალხით შეცვლის შესახებ.

კომუნა შედგენილი იქნა მუნიციპალური მრჩევლებისაგან, (ქალაქის ხმოსანთაგან) რომელნიც არჩეული იყვნენ პარიზის ოლქის მიერ საყოველთაო კენჭის ყრით. მისი წევრები იყვნენ პასუხისმგებელნი და მათი შეცვლა ყოველთვის შეიძლებოდა. მათ უმრავლესობას, როგორც ეს თავის თავად იგულისხმება, შეადგენდნენ მუშები ან მუშათა კლასის ცნობილი წარმომადგენლები. კომუნა უნდა ყოფილიყო არა საპარლამენტო დაწესებულება არამედ საქმიანი კოლეგია, რომლის ხელში იქნებოდა როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ძალა-უფლება. პოლიციას, რომელიც მანამდე იყო სახელმწიფოებრივი ხელისუფლების იარაღი, დაუყოვნებლივ ჩამოართვეს ყველა მისი პოლიტიკური უფლებები და იგი გადაიქცა კომუნის პასუხისმგებელ იარაღათ, რომლის შეცვლა ყოველთვის შეიძლებოდა.

ასეთივე ბედი ეწვიათ მოხელეებს და მართვა-გამგეობის სხვა დარგებს. დაწყებული კომუნის წევრებიდან და გათავებული ქვედა ფენებით, საზოგადოებრივ თანამდებობის პირთ ეძლეოდათ ჯამაგირები ხელფასის რაოდენობის მიხედვით.

პრივილეგიები და ჯამაგირები, წარმომადგენლებისათვის, რომლითაც სარგებლობდენ მაღალი თანამდებობის პირნი, მოისპო მათთან ერთად. საზოგადოებრივი თანამდებობანი აღარ შეადგენდა ცენტრალურ მთავრობის კრეატურის კერძო საკუთრებას. არა მარტო ქალაქის თვითმართველობა, არამედ მთელი ინიციატივა, რომელიც მანამდე სახელმწიფოს ეკუთვნოდა, გადავიდა კომუნას ხელში.

დაშალა რა რეგულიარული არმია და პოლიცია ძველი მთავრობის მატერიალური ძალის ეს იარაღი კომუნა დაუყოვნებლივ შეუდგა სასულიერო წოდების ძალა-უფლების, სულერი დამონავების ამ იარაღის დამხობას: მან დეკრეტი დააკანონა ყველა ეკლესიების დაშლა და ექსპროპრიაცია, რამდენადაც ეს ეკლესიები იყვნენ ქონების მესაკუთრე კორპორაციები. მღვდლები უნდა დაბრუნებოდენ კერძო ხალხთა ჩვეულებრივ ცხოვრებას და მათი წინაპრების—მოციქულების დაგვარად ეცხოვრათ მორწმუნეთა მოწყალებით. ყველა სასწავლებლები ეკლესიის და სახელმწიფოს გარეშე უფასო გახდენ ყველასათვის. ამგვარად სასკოლო განათლება ყველასათვის მისაწდომი გახდა; მეცნიერებას მოეხსნა კლასობრივ ცრუმორწმუნეობით და მთავრობის მიერ დადებული ბორკილები.

მოსამართლეებს წაერთვათ ის მოჩვენებითი დამოუკიდებლობა, რომელიც მხოლოდ ფარავდა მათ მორჩილებას რიგ-რიგობით შეცვლილ მთავრობებისადმი; ისინი ყოველ მთავრობას აძლევდენ ფიცს ერთგულებისას, და ყოველ მათგანს ღალატობდენ. როგორც საზოგადოების სხვა თანამდებობის პირნი ისინიც ხალხის მიერ ირჩეოდენ, იყვნენ პასუხისმგებელნი და კიდეც შეიძლებოდა მათი შეცვლა.

პარიზის კომუნა უნდა ყოფილიყო ბუნებრივი ნიმუში საფრანგეთის ყველა სამრეწველო ცენტრებისათვის. თუ კომუნა დამყარდებოდა პარიზში და მეორე ხარისხოვან ცენტრებში, ძველი ცენტრალისტური მთავრობა პროვინციებშიაც დაუთმობდა ადგილს მწარმოებელთა თვითმართველობას. ნაციონალურ ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვაში, რომლის ფართოთ დამუშავება კომუნამ ვერ მოასწრო, პირ-

როგორ აწამეს კომუნარები

(ინგლისური ბურჟუაზიული გაზეთების პარიზელ კორესპონდენტების წერილები 1871 წ.).

I.

კომუნარების დახვრეტა.

„ტყვეების პარტია შეჩერდა ურიხის ხეივანში; ის დარაზმეს ტროტუარზე ოთხ-ხუთ მწკრივად პირისპირ. გენერალი მარკიზ-დე-გალლიფე და მისი შტაბი ჩქარობდენ და მარცხენა ფრთიდან დაიწყეს ხაზის დათვალიერება. გენერალი ნელ-ნელა მიიწევდა წინ და ათვალიერებდა რიგებს; დრო გამოშვებით ის ჩერდებოდა, დაადებდა რომელიმე ტყვეს მხარზე ხელს ან ანიშნებდა ვინმეს, უკანა რიგებში მდგომს, გამოსულიყო წინ. ამ რიგად გადარჩეული ტყვეები მწკრივდებოდენ შუა ქუჩაში, სადაც უეცრად შეადგენდენ მთელ მწყობრს.

ცხადია, რომ აქ დაშვებული იქნებოდა მრავალი შეცდომები. ერთმა ცხენზე მჯდომმა ოფიცერმა მიუთითა გენერალს ქალზე და კაცზე, რომელთაც ბრალს სდებდენ განსაკუთრებულ დანაშაულში. ქალი სასწრაფოდ გამოვიდა მწკრივიდან, დაეცა მუხლებზე და ხელაპყრობით დაიწყო თავისი უდანაშაულობის მტკიცება. გენერალმა დააცალა მას ლაპარაკი და როდესაც ის ერთი წუთით შეჩერდა, წარმოსთქვა სავსებით დამშვიდებულად, არავითარი მოძრაობა მის სახეს არ დასტყობია: „ქალბატონო, მე ვყოფილვარ პარიზის ყველა თეატრებში, ტყუილად დროს ნუ ჰკარგავთ კომედიის თამაშში (il ne vaut le pitne de la comedie)"...

ვაი მას, ვინც განირჩეოდა სხვებისაგან სიმაღლით, სიბინძურით, სისუფთავით, წლოვანობით ან მოუხეშაობით. ერთი კაცი, როგორც მე შევამჩნიე, განთავისუფლებული იქნა ამ მიწიერ ჯოჯოხეთისაგან მხოლოდ თავისი ჩავარდნილი ცხვირის გამო...

ამ რიგად გადაარჩიეს ასზე მეტი კაცი, მათ დასახვრეტად დატოვეს ერთი გუნდი ჯარისკაცები, ხოლო დანარჩენი პარტია წაიყვანეს წინ. რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ უკან მოისმა თოფის სროლა, რომელიც გაგრძელდა დაახლოვებით 15 წუთს. ეს იყო ფიზდურების, გადარჩეულების და ყოველგვარი გასამართლების გარეშე დასჯილების ამოჟლეტა.

პარიზელი კორესპონდენტი გაზეთ „Daily News"-ის, 8 ივლისი.

II.

გენერალი გალიფე.

ეს გალლიფე, რომელიც ცხოვრობდა თავის ცოლის ხარჯზე, ცოლის, რომელმაც გაითქვა სახელი თავისი სხეულის მეორე იმპერიის ორგიებზე გამოტანით, იყო ცნობილი ომის დროს საფრანგეთის პრაპორშჩიკის სახელით.

„Fempa"-იმ ძლიერ დაკვირვებული გაზეთი, რომელსაც არ უყვარს სენსაციური ხმების გავრცელება, მოგვითხრობს შემაძრწუნებელ ამბებს იმ ადამიანებზე, რომლებსაც სავსებით არ კლავდენ და მარხავდენ ცოცხლად.

„მრავალი გვამი დამარხეს წმინდა იაკობის მოედანზე. ზოგიერთ მათგანს ძლივს ფარავდა მიწა. დღით ქუჩის ხმაურობა ყველაფერს ფარავდა, **მაგრამ ღამით მახლობელ სახლებში მცხოვრებლები გამოაღვიძა ყრუ კვნესამ, ხოლო დილით დაინახეს მიწიდან ამოშვერილი შეკუმშული მუშტები.** ამის გამო გაცემული იყო ბრძანება ამოეთხარათ გვამები...

ცხადია, რომ ბევრი დაჭრილები ცოცხლად იყვნენ დამარხულნი...

აი ფაქტი, რომლის დამტკიცება მე შემიძლია. ბრიუნელი და მისი საყვარელი დახვრეტილი იყვნენ 24 მაისს, ერთი სახლის ეზოში ვანდომის მოედანზე; ისინი იქ დატოვეს 27-დე. **როდესაც 27 მივიდნენ გვამების წასაღებად, აღმოჩნდა, რომ ქალი ცოცხალი იყო და ის წაიყვანეს საავადმყოფოში.**

მიუხედავად იმისა, რომ ის დაჭრილია ოთხი ტყვიით, მას არავითარი საფრთხე არ მოელის".

პირველი კორესპონდენტი გაზეთ „Evening Standard"-ის, 8 ივნისი.

ჯალათები კომუნის



„კაცი, რომელსაც ეცინება"
ტიერი



გენერალი გალიფე



დახვრეტილი კომუნარები

(25 მაისის ხოცვა ჟლეტის შემდეგ ერთი ყაზარმის ეზოში).

პარიზის კომუნის 52 წ. თავზე

ა. | წ. 18 მარტს

რაიონულ კლუბებში გაიმართება

მიტინგი-კონცერტები

ნაძალადევის თეატრი—დასაწყისი საღ. 6 საათზე. მომხსენებელი ამხ. **მიხა ცხაკაია.**

ცენტრ. მუშათა კლუბი—დასაწყისი საღ. 7 საათზე. მომხსენებელი ამხ. ამხ. **რუბენი და კოგანი.**

ავლაბრის რაიონული კლუბი—დასაწყისი საღ. 7 საათზე. მომხსენებელი ამხ. **ხანოიანი.**

პროფკავშირების კლუბი—დასაწყისი საღ. 7 საათზე. მომხსენებელი ამხ. **სუტირინი.**

ს. კ. პ. თბ. კ. საag. საპრ. განყ.

დაპირ არის ნათქვამი, რომ კომუნა უნდა გახდეს პოლიტიკური ფორმა სულ პატარა სოფლებისაც კი და რომ მუდმივი ჯარი მთელ ქვეყანაში უნდა იქნას შეცვლილი სახალხო მილიციით, სულ მოკლე ვადიან სამსახურით.

ოლქის მთავარ ქალაქში გამართულ რწმუნებულთა კრებას უნდა განეგო თვითეულ ოლქის ყველა სოფლების თემთა საერთო საქმეები, ხოლო ამ საოლქო კრებებს უნდა გაეგზავნათ რწმუნებული ნაციონალურ კრებაში, რომელიც პარიზში იყო მოწვეული; რწმუნებულებს სისწორით უნდა აესრულებიათ თავიანთ ამომრჩევლების ინსტრუქციები და შეეძლოთ შეცვლილი ყოფილიყვნენ ყოველ-დროს. მცირეოდენი, მაგრამ მნიშვნელოვანი ფუნქციები, რომელიც ცენტრალურ მთავრობის ხელში დარჩა, არ უნდა ყოფილიყო გაუქმებული. როგორც ამას აღნიშნავდენ კომუნის მტრები, არამედ ეს ფუნქციები უნდა გადაცემოდა კომუნალურ მოხელეებს, რომელნიც იყვენ სასტიკად პასუხისმგებელნი. კომუნალური აღმშენებლობა კი არ შლიდა, არამედ პირიქით ამტკიცებდა ერის მთლიანობას, ეს მთლიანობა უნდა გამხდარიყო რეალობათ იმ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მოსპობის შემდეგაც, რომელიც სთვლიდა თავს ამ მთლიანობის გამომხატველად, და რომელიც ფიქრობდა დამდგარიყო ერის ზევით და მისგან დამოუკიდებლად, ხოლო სინამდვილეში კი იგი იყო პარაზიტი ერის სხეულზე.

ამხობდა რა ძველი მთავრობის იმ ორგანოებს, რომელიც მხოლოდ ჩაგვრას ემსახურებოდა, კომუნა ხელიდან გლეჯდა ამ მთავრობას მის კანონიერ ფუნქციებს და აძლევდა მათ საზოგადოების პასუხისმგებელ მოსამსახურეებს.

საყოველთაო კენჭის ყრის უფლება მანამდე ქონდა ხალხს ყოველ სამ ან 6 წელში გაბატონებულ კლასის რომელიმე წევრის ასარჩევად, რომელიც წარმომადგენლობდა პარლამენტში და არსებითად კი სჩაგრავდა ხალხს, ეხლა კი ეს უფლება უნდა გამხდარიყო კომუნაში დარაზმულ ხალხისათვის ისეთსავე უფლებათ, როგორც იყო თვითეულ დამქირავებლის ინდივიდუალური ხმის უფლება თავის წარმოებისათვის მუშების, ზედამხედველების და ბუღალტერების გამონახვის დროს, საზოგადოებაც, ისევე როგორც ცალკე პირები ყოველთვის ახერხებენ თავის პრაქტიკულ ნაწარმოებისათვის შესაფერ ადამიანების გამონახვას, და თუ ზოგჯერ სცდებიან, ძალიან ჩქარა ასწორებენ თავიანთ შეცდომებს. მეორეს მხრივ კომუნა, თავისი შინაარსით, წინააღმდეგი იყო საყოველთაო ხმის მიცემის იერარქიულ ინვესტიტურით შეცვლისა.

III

საზოგადოების ყველა ახალი ისტორიული ფორმები ჩვეულებრივათ ითვლებიან უფრო ძველ, დრომოჭმულ საზოგადოებრივ ცხოვრების ანარეკლათ, რომელსაც ისინი ასე თუ ისე გვანან, სწორეთ ამგვარათვე, ახალ კომუნასაც, რომელმაც დაამხო სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, სთვლიან საშუალო საუკუნოების იმ კომუნების აღორძინებათ, რომელნიც წინ უსწრობდენ ამ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას და შეადგენდენ მის საფუძველს. კომუნალურ აღმშენებლობას შეცდომით სთვლიდენ ცდათ შეეცვალათ პატარა სახელმწიფოების კავშირით (რომელზედაც ოცნებობდენ მონტესკიე და ჟირონდისტები) დიდი ერების გაერთიანება, რომელიც თუმცა ძალდატანებით იყო მოხდენილი, მაგრამ ეხლა მძლავრ ფაქტორად გადაიქცა საზოგადოებრივ წარმოებისათვის.

კომუნის ანტაგონიზმს სახელმწიფოებრივ ხელისუფლებასთან შეცდომით სთვლიდენ ცენტრალიზაციის წინააღმდეგ წარმოებულ ძველი ბრძოლის გადამეტებათ. ზოგიერთ ქვეყნებში მთავრობის იმ ბურჟუაზიულ ფორმის განვითარებას, რომლის ნიმუშათ ითვლება საფრანგეთი, ხელს უშლიდენ ზოგიერთი ისტორიული პირობები; ამ პირობებმა შექმნეს მაგ. ის, რომ ინგლისის მთავარ ცენტრალური სახელმწიფოებრივ ორგანოებს ავსებენ სამრევლო კრებები (vestries). ქალაქის საბჭოების ანგარების მოყვარე წევრები, ქალაქის ღარიბ მცხოვრებთა გამხეცებული მზრუნველები, და სოფლებში ფაქტიურად შთამომავლობითი მომრიგებელი მოსამართლეები. ყველა ისეთ ძალებს, რომელსაც მანამდე საზოგადოებრივი ორგანიზმი ჰკარგავდა „სახელმწიფოს“ ამ საზოგადოების სისხლის მსმელ პარაზიტის წყალობით, ყველა ამ ძალებს ხელახლა დაუბრუნებდა მას კომუნალური წესწყობილება. მხოლოდ ამით იგი ხელს შეუწყობდა საფრანგეთის აღორძინებას.

პროვინციალურ ქალაქების ბურჟუაზია ხედავდა კომუნაში ცდას აღედგინა ის ბატონობა სოფელზე, რომლითაც ის სარგებლობდა ლუი ფილიპეს დროს და რომელიც ლუი ბონაპარტეს დროს მოსპობილ იქნა სოფლების მოჩვენებითი ბატონობით ქალაქებზე. ნამდვილად კი კომუნას სურდა დაემორჩილებია ის მწარმოებლები ახლო მდებარე ქალაქების გონებრივ ზეგავლენისათვის და უზრუნველ ეყო ქალაქის მუშათა წარმომადგენლობაში მათი ინტერესები, კომუნის მხოლოდ არსებობის ფაქტიდან ბუნებრივათ გამომდინარეობდა ადგილობრივი თვითმართველობა, მაგრამ ეს ადგილობრივი თვითმართველობა არ უნდა ყოფილიყო სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საწინააღმდეგო, რომელიც სრულიად ზედმეტად ითვლებოდა. მხოლოდ რომელიმე ბისმარკს, რომელიც ინტრიგებისაგან მთელ თავისუფალ დროს ანდომებდა თავის ძველ, მის გონებრივ განვითარების შესაფერისს გაზ. „Kladderadatsch“ ის თანამშრომლობას,—მხოლოდ ასეთ ადამიანს შეეძლო ეფიქრა, რომ პარიზის კომუნა, არსებითად, ილტვოდა პრუსიის საქალაქო წესწყობილებისაკენ—საფრანგეთის 1791 წლის ქალაქის წესწყობილების კარიკატურისაკენ, რომელიც ქალაქის საბჭოებს პრუსიის სახელმწიფოებრივ პოლიციურ მექანიზმის მეორე ხარისხოვან ორგანიზაციად სახავდა.

მოსპო რა არმიის და მოხელეების შესანახავი მთავარი ხარჯები, კომუნამ განახორციელა ყველა ბურჟუაზიულ რევოლიუციების იდეალი—იაფი მთავრობა. თვით მისი არსებობა იყო უარყოფა მონარქიისა, რომელიც არის ევროპაში კლასიური ბატონობის ჩვეულებრივი ბალასტი და აუცილებელი ნიღაბი. კომუნამ შეუქმნა რესპუბლიკას ნამდვილ დემოკრატიულ დაწესებულებათა საფუძველი. მაგრამ არც იაფი მთავრობა და არც „ჭეშმარიტი რესპუბლიკა“ არ იყო მისი საბოლოვო მიზანი; ერთიც და მეორეც თავად, სხვათა შორის, მოეწყო.

კომუნის მნიშვნელობის სხვა და სხვა გვარი დაფასება, სხვა და სხვა ინტერესები, რომელსაც ის გამოხატავდა ამტკიცებს, რომ იგი იყო გაზვიადებული სახელმწიფოებრივი ფორმა იმ დროს, როდესაც მთავრობების ძველი ფორმები არსებითად იყვენ ჩაგვრის ფორმები.

მისი საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ იგი არსებითად იყო მუშათა კლასის მთავრობა, მწარმოებელთა და გაყვლეფილ გლეხთა შორის წარმოებულ ბრძოლის შედეგი ისეთი დიდი ხნის წინად სანატრელი ფორმა, რომლის დროსაც მოხდებოდა შრომის განთავისუფლება.

ამ უკანასკნელ პირობის გარეშე კომუნა წარმოუდგენელია, უამისოთ იგი—უბრალო მოჩვენებაა.

მწარმოებელთა პოლიტიკურ მონობას არ შეუძლია იარსებოს სოციალურ დამონავების გვერდით.

ამიტომ კომუნა უნდა გამხდარიყო იარაღათ იმ ეკონომიურ საფუძვლების დანგრევისათვის, რომელზედაც დამყარებულია კლასების არსებობა, და მაშასადამე კლასიური ბატონობაც, რადგანაც შრომა განთავისუფლება, ყველანი მუშებათ გახდებიან და საწარმოვო შრომა აღარ იქნება ერთი რომელიმე კლასის კუთვნილება.

უცნაური ამბავია: ჩაიგდებენ თუ არა მუშები თავის ხელში მთელ საქმეს, მაშინვე მიუხედავათ ყოველივე იმისა, რაც ამ უკანასკნელ 60 წლის განმავლობაში იწერებოდა შრომის განთავისუფლების შესახებ, გაისმის თანამედროვე საზოგადოების დამცველთა გიმნები, მისი ორ მოწინააღმდეგე პოლიუსებით: კაპიტალით და დაქირავებულ შრომის მონობით (მიწის მესაკუთრეები არიან ეხლა მხოლოდ კაპიტალისტების უსიტყვო კომპანიონები). თითქოს კაპიტალისტური საზოგადოება ჯერ კიდევ ქალწულებრივ სისპეტაკეში და უხრწნელობაში იმყოფებოდეს! თითქოს არ იყოს განვითარებული მისი საფუძვლები, არ გამომჟღავნებულიყოს მისი თვალთმაქცობა, არ გამოაშკარავებულიყოს მისი გახრწნილი სინამდვილე! კომუნარსო, ამბობენ ისინი, სურს მოსპოს კერძო საკუთრება, მთელი ცივილიზაციის საფუძველი! დიახ, მოწყალეო ხელმწიფენო, კომუნას სურდა მოესპო ის კლასიური საკუთრება, რომელიც მრავალთა შრომას რამდენიმე პირთა სიმდიდრეთ აქცევს. მას სურდა ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია. მას სურდა მართლაც შეექმნა ინდივიდუალური საკუთრება და საწარმოვო საშუალებან:—მიწა და კაპიტალი, რომელიც უპირველეს ყოვლისა დამონავების და შრომის ექსპლოატაციის იარაღს წარმოადგენს, გადაექცია თავისუფალ და გაერთიანებულ შრომის იარაღათ.

მაგრამ ეს ხომ კომუნიზმია, „შეუძლებ ლი“ კომუნიზმი! მაგრამ გაბატონებულ კლასთა შორისაც გამოინახენ ისეთი ადამიანები, რომელთაც გაიგეს, რომ დღევანდელი საქმის ვითარება დიდხანს არ გასტანს. ისინი ხდენ კოოპერაციულ წარმოების მაბეზარა და მყვირალა მოციქულები. და თუ კოოპერატიული წარმოება თუ ცლიერი სიტყვები და მოტყუება არ არის, თუ მან უნდა განდევნოს კაპიტალისტური სისტემა, თუ ასოციაციები აწყობენ ნაციონალურ წარმოებას საერთო გეგმით, და თავის გამგეობაში აიღებენ ამ წარმოებას და მათ ბოლოს მოუღებენ მუდმივ ანარქიას და პერიოდულ კონვულსიებს,—რომელიც აუცილებელია კაპიტალისტურ წარმოების დროს,—განა ეს არ იქნება, გეკითხებით თქვენ მოწყალეო ხელმწიფენო, კომუნიზმი, „შესაძლებელი“ კომუნიზმი?

მუშათა კლასი არ მოითხოვდა სასწაულებს კომუნისაგან, იგი არ ფიქრობს განახორციელოს სახალხო გადაწყვეტილების საშუალებით დამზადებული დასრულებული უტოპიები. მან იცის, იმისათვის რომ მიაღწიოს თავის განთავისუფლებას და ცხოვრების მაღალ ასპარეზს, რომლისკენაც ილტვის თანამედროვე საზოგადოება თავისი ეკონომიური განვითარების ძალით, მას მოუხდება მედგარი ბრძოლის წარმოება, მთელი რიგი იმ ისტორიული პროცესების გამოვლა, რომელიც სავსებით შესცვლიან ადამიანებს და გარემოებებს. მუშათა კლასს მოელის არა რომელიმე იდეალების განხორციელება, არამედ იმ ახალი საზოგადოების ელემენტებისათვის გასაქანის მიცემა, რომელიც უკვე განვითარდა დაშლის პროცესში მყოფ ბურჟუაზიულ საზოგადოების წიაღში.

მთელი თავისი ისტორიული მოწოდების შეგნებით, გმირულ გამბედაობით აღსავსე—მუშათა კლასს შეუძლია უპასუხოს ზიზღიანი ღიმილით მეგაზეთე-ლაქიების გათახსირებულ ლანძღვაზე და ბურჟუა—დოქტრინიორების კეთილ ზრახვებით აღსავსე მეცნიერულ დარიგებებზე, რომელნიც უცოდველი ორაკულის ხმით ქადაგებენ თავის ცრუ მოძღვრებას და სთავაზობენ მათ მიერ შეთხზულ რეცეპტებს.

როდესაც პარიზის კომუნამ მიიღო რევოლიუციის ხელმძღვანელობა, როდესაც უბრალო მუშებმა პირველად გადასწყვიტეს ხელი შეეხოთ თავის „ბუნებრივ უფროსის“ პრივილეგიისათვის, სახელდობრ, მართვა გამგეობის პრივილეგიისათვის,—ისინი შეუდგნენ მუშაობას მეტად მძიმე პირობებში და ასრულებდენ ამ მუშაობას კეთილსინდისიერათ და წარმატებით; მათი ჯილდო არ აღემატებოდა იმ ჯამაგირის ერთ მეხუთედს, რომელსაც ღებულობდა, ცნობილ ავტორიტეტის პროფესორ გეკსლის სიტყვით, ლონდონის სასკოლო საბჭოს მდივანი ძველი მსოფლიო იკლაკნებოდა სიბრაზისაგან, როდესაც მან დაინახა წითელი დროშა—შრომის რესპუბლიკის სიმბოლო ქალაქის რატუშაზე.

რადიო-დეპეშები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

მოსკოვი. 16 მარტი. მეტყველების მხრივ ემჩნევა თანდათანობითი გაუმჯობესება, მარჯვენა ხელი მოდის მოძრაობაში. საერთო მდგომარეობა კარგია. ტემპერატურა 36,6 პულსი—84 წუთში.

პროფესორები: **მინკოვსკი, ფერსტერი, კრამერი.**

პრივატ-დოცენტი: **კოჟევნიკოვი.**

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: **სემაშკო.**

რურის გარშემო

ბურჟუაზია ამზადებს კაპიტულიაციას.

პარიზი. 17 მარტი. გერმანიის კომუნისტური გაზეთი „როტე ფანე“ აცხადებს, რომ ბურჟუაზიული პრესა მიმდინარე ამბების საგაზეთო კომენტარიების საშუალებით ამზადებს გერმანიის საზოგადო აზრს კაპიტულიაციისათვის. გაზეთი ამბობს აგრეთვე, რომ ბირჟა განიცდის მრეწველობის კრიზისს, რომელიც გამოიხატება კრედიტის უქონლობაში.

სხვადასხვა მიზნები — ერთნაირი მოქმედება.

ბერლინი. 17 მარტი. ვანდერველდეს გაზეთი „პეპლი“, რომელიც გამოდის ბრიუსელში, იტყობინება, რომ, მიუხედავათ ყველა ოფიციალურ უარყოფისა, საფრანგეთის და ბელგიის მიზნები, რომლებიც მათ აქვთ დასახული რურის ოლქის ოკუპაციით, სერიოზულათ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. არსებულ კონფლიქტის დამამტკიცებელ ფაქტათ გაზეთი სთვლის კონფერენციის ჩაშლას, რომელიც უნდა მოწვეულიყო ორი კვირის შემდეგ პარიზში რურის ოკუპაციის საკითხის შესახებ.

შუამავლები საფრანგეთ-გერმანიის შორის

გერმანია თხოულობს ინგლისის შუამავლობას.

პარიზი. 17 მარტი. ლონდონში დადის ხმები იმის შესახებ, რომ ვითომც გერმანიამ მიმართა ინგლისს თხოვნით მიიღოს თავის თავზე შუამავლობა და გადასცეს საფრანგეთს და ბელგიას გერმანიის ახალი საკონტრიბუციო გეგმა.

ინგლისი უარს ამბობს შუამავლობაზე.

პარიზი. 17 მარტი. იმის გამო, რომ ლონდონში ლაპარაკობენ გერმანიის წინადადებაზე ინგლისისადმი მიიღოს თავის თავზე შუამავლობა, რეიტერის საგენტო იტყობინება, რომ გერმანიას კიდევაც რომ მიემართა ინგლისისათვის ასეთი თხოვნით, ინგლისის მთავრობა თავს შეიკავებდა ყოველგვარ მოქმედებისაგან და აცნობდა გერმანიას, რომ მან უშუალოთ უნდა წარუდგინოს თავისი წინადადებები დაინტერესებულ მთავრობებს.

საფრანგეთს არ სურს შუამავლობა.

პარიზი, 17 მარტი. საფრანგეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ გერმანიას თუ სურს დაიწყოს მოლაპარაკება საფრანგეთთან და ბელგიასთან, ის ვალდებულია უშუალოთ მიმართოს თვით საფრანგეთს.

გერმანიის ამბები

შავრაზმელების თავდასხმა.

მოსკოვი. 17 მარტი. ბერლინიდან მოსულ ცნობით რეიმშეიდში შავრაზმელებმა მოაწყვეს თავდასხმა კომუნისტურ ორგანოს „ბერგიშ არბეიტერ ცეიტუნგ“-ის სტამბაზე. სტამბის გვერდით მდებარე შენობა დაიწვა, სტამბა კი დარჩა დაუზიანებლად. რეიმშეიდის მუშებმა ამაზე უპასუხეს თავის წითელ ასეულების მსწრაფლი მობილიზაციით.

კომუნისტური პრესის დევნა.

მოსკოვი. 17 მარტი. კომუნისტური გაზეთი „ბერგიშე ფოლ შტიმმე“ მიცემულია პასუხის გებაში, რადგანაც ის მოუწოდებდა შეექმნათ პროლეტარული წითელი ასეულები.

მუშათა რაზმების შედგენა.

მოსკოვი. 17 მარტი. ბერლინის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კრებამ, მოისმინა რა იტალიელ ამხანაგის მოხსენება იტალიაში გამეფებულ ფაშისტების ტერორის შესახებ, ერთხმად დაადგინა მოწვეული იქნეს კრებები ყველა ფაბრიკა-ქარხნებში პროლეტარულ რაზმების შედგენის საკითხის განსახილველათ.

კაპიტულიაცია ბურჟუაზიის წინაშე.

მოსკოვი. 17 მარტი, გერმანიის ფინანსთა მინისტრის მოლაპარაკება ვაჭრობის მინისტრთან გელფერდინგთან გადასახადთა განაკვეთების შეთანხმების შესახებ, დასრულდა სოციალ-დემოკრატიის სრული კაპიტულიაციით ბურჟუაზიის წინაშე თუმცა სოციალ-დემოკრატები თითქოს პრინციპიალურათ არ იღებენ შეთანხმების პროექტს რომელიც მიმართულია ბურჟუაზიის სასარგებლოთ, მისი საბოლოო მიღება სრულიად უზრუნველ ყოფილა.

გერმანიის პროლეტარიატის მადლობა

მოსკოვი. 16 მარტი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს დეპეშის პასუხად, რუსეთის პროლეტარიატის მიერ რურის მუშებისათვის 500,000 ფუთი პურის გაგზავნის გამო, გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ცენტრალურმა საბჭომ გაუგზავნა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენ. საბჭოს მხურვალე მადლობა გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატის სახელით. მსოფლიო ისტორიას, ნათქვამია გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წერილში, არ ახსოვს ასეთი ძმური დახმარების მაგალითი.

გერმანიის მუშა ფაბრიკაში, ყაზარმაში, სახელოსნოში, მაღაროში და მინდვრის სამუშაოზე, ყოველგან აღსავსეა მადლობით თქვენი კეთილშობილური მოქცევის გამო თავისი ძლიერების და გამარჯვების იმედი კვლავ აღავსებს გერმანიის რევოლიუციონურ მებრძოლთა გულებს.

რუსეთის გლეხებთან და მშრომელ მასებთან კავშირის დაჭერით, გერმანიის პროლეტარიატი უძლეველი იქნება.

ახლო აღმოსავლეთში

ეროვნული კრების მუშაობის შეწყვეტა.

მოსკოვი. 16 მარტი. ეროვნული კრების სხდომები შეწყდა ერთი კვირის ვადით. ოპოზიციონური ჯგუფის გამოჩენილი ხელმძღვანელები გაემგზავრენ სტამბოლში.

მოსალოდნელია დიდი დაბრკოლებანი.

ბერლინი. 17 მარტი. საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში მოელიან დიდ დაბრკოლებებს ოსმალეთის კონტრ-წინადადებათა განხილვის დროს. სხვა მოთხოვნილებათა შორის ოსმალეთი თავის კონტრ-წინადადებებში მოითხოვს გადაცემას ოსმალეთისათვის კუნძულ კასტელლე-რიცცის, რომელიც ამ ჟამათ იტალიის ხელშია, მოითხოვენ აგრეთვე უცხოელებისათვის ეკონომიურ პრივილეგიების გაუქმებას.

ფრანგები სიმაგრეებს აგებენ.

ანგორა. 15 მარტი. ანტიოხიის ახლო ფრანგები სიმაგრეებს აგებენ. ამასთან დაკავშირებით ფრანგი პოლკოვნიკი დუტლო ანტიოხიაში გაემგზავრა.

არ სურთ ფრანკოფილის მოსმენა.

ანგორა. 15 მარტი. ალეპპოში მოხსნილია ფრანკოფილ-რედაქტორის ლექცია მცხოვრებლების უთანაგრძნობის გამო.

მუშათა კავშირის ორგანიზაცია.

ტრაპიზონი. 14 მარტი. სმირნაში მუშათა კავშირის შექმნის საკითხის გასარჩევათ სხვა და სხვა დარგის მუშათა კრება შესდგა.

ვინ იქნება ოსმალეთის წარმომადგენელი.

ბერლინი. 17 მარტი. მოელიან, რომ მოკავშირეთა და ოსმალეთის მოლაპარაკება სტამბოლში გაიმართება. ანგორიდან მოსულ ცნობით, ოსმალეთის წარმომადგენელი იქნება არა ისმეტ-ფაშა, არამედ ადნან-ბეი და გენერალი რეფედი.

„ცუდ მდგომარეობაშია“.

ბერლინი. 17 მარტი. პარიზში ფიქრობენ, რომ ახლო-აღმოსავლეთის საკითხი ცუდ მდგომარეობაშია, რადგან ანგორის მთავრობის მიერ წამოყენებული ზოგიერთი მოთხოვნილებანი მოკავშირეებისათვის მეტად არა ხელსაყრელია.

არაფერს ამბობენ.

რომი. 17 მარტი. ახლო-აღმოსავლეთის საკითხის შესახებ რომის დიპლომატიურ წრეებში არაფერს ამბობენ, ოსმალეთის კონტრ-წინადადებების მიღებასაც კი უარყოფენ.

მიუხედავათ ამისა კონტრ-წინადადების მიღების შესახებ ხმები გავრცელდა, ამტკიცებენ რომ მდგომარეობა ხელსაყრელიაო.

თათბირი.

რომი. 17 მარტი. მომავალ კვირისათვის, ლონდონში შესდგება მოკავშირეთა თათბირი ოსმალეთის კონტრ-წინადადების შესახებ.

კერზონმა მოკავშირეების წარმომადგენლები ლონდონში მხოლოდ ამ საკითხის განსახილველად მოიწვია, ამ რიგად თათბირი სხვა კითხვებს არ შეეხება.

თათბირი დიდხანს გასტანს.

თათბირის დროს დაიწყება მოლაპარაკება ანტანტის პრემიერების და ოსმალეთის წარმომადგენლების ახალი კონფერენციის მოსაწვევათ.

ოსმალეთის კონტრ-წინადადების განხილვა.

პარიზი. 16 მარტი. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში განაგრძობენ ოსმალეთის კონტრ-წინადადების განხილვას; შესაძლებელია, რომ ამის გამო ბომპარი ახლო მომავალში გაემგზავრება ლონდონში.

პოლონეთის ამბები

უმუშევართა დემონსტრაცია.

მოსკოვი. 17 მარტი. 13 მარტს ვარშავაში გაიმართა უმუშევართა მორიგი დემონსტრაცია. დემონსტრანტებს გზა შეუკრეს პოლიციელებმა, რომლებიც საბარგო ავტომობილებით მოვიდენ. დემონსტრანტებმა მოახერხეს პრეზიდენტთან დელეგაციის გაგზავნა მოთხოვნით გაანთავისუფლოს წინეთ დატუსაღებული უმუშევარნი.

პრეზიდენტმა უარი განაცხადა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე.

ემზადებიან.

მოსკოვი. 17 მარტი. იუწყებიან, რომ ვარშავაში ემზადებიან ზამთარში აღმოსავლეთ პრუსიაზე გასალაშქრებლად.

ამ თავდასხმას მიზნათ აქვს მოსწყვიტოს აღმოსავლეთ პრუსია გერმანიას და აიძულოს უკანასკნელი მეტ დათმობაზე წავიდეს რეპარაციის საკითხში.

გალიციის საკითხი

მოსკოვი. 17 მარტი. მემელის საკითხის ლიტვის სასარგებლოდ გადაჭრის შემდეგ, პოლონეთმა ერთა ლიგას კომპენსაციის სახით მოსთხოვა აღმოსავლეთით თავის საზღვრების ცნობა. წინათ ოპტიმისტურათ განწყობილი მთავრობა, ეხლა შიშობს, რომ ერთა ლიგა საზღვრების ცნობაში პირობათ მოსთხოვს მას გალიციაში და ვილენშჩინაში ფართო თვითმართველობის შემოღებას, უკეთეს შემთხვევაში კი იცნობს მხოლოდ ნაწილს საზღვრებისას. პოლონეთის პრესა აღშფოთებულია საბჭოთა მთავრობის ნოტით პოლონეთ-ლიტვის სადაო საკითხების ერთა ლიგაზე გადაცემის წინააღმდეგ. ბელორუსიის სეიმის კლუბმა გაილაშქრა პოლონეთისათვის ვილენშჩინის შეერთების და რიგაში საზღვრების დაწესების წინააღმდეგ. გალიციის პრესა სავსეა პროტესტებით აღმოსავლეთ გალიციის შემოერთების წინააღმდეგ.

სპეკულიაციის სამშობლო

მოსკოვი. 17 მარტი. პოლონეთის სეიმის სხდომაზე 16 მარტს რუსეთ-პოლონეთის შორის მძევლების გადცვლის საკითხის გარჩევის დროს კომუნისტმა კრულიკოვსკიმ განაცხადა: „საკითხი დასმულია რწმენისათვის მუშებისა და გლეხების გადასახლების შესახებ პოლონეთიდან, რომელიც წარმოადგენს სპეულიაციის ლა სიცრუის სამშობლოს“. სეიმის თავმჯდომარემ კრულიკოვსკის სიტყვა წაართვა.

შვეციის ამბები

მისალმება რუსეთის კომპარტიის ცეკასადმი.

მოსკოვი. 17 მარტი. შვეციის კომუნისტურმა პარტიამ რუსეთის კომპარტიის 25 წლის იუბილეს გამო გაუგზავნა რ. კ. პ. ცეკას მისასალმებელი დეპეშა.

პროფინტერნისაკენ გადახრა.

მოსკოვი. 17 მარტი. ქრისტიანიაში დაიხურა ნორვეგიის პროფკავშირთა ცენტრალურ ორგანიზაციების ყრილობა, რომელმაც დაადგინა გამოეყოს ამსტერდამის ყვითელ ინტერნაციონალს. საკითხი პროფინტერნთან შეერთებისათვის უნდა გადაეცეს გადასაჭრელად პროფკავშირებს. საკითხის საბოლოო გადაჭრა მოხდება პროფკავშირების რეფერენდუმის შედეგების გამორკვევის შემდეგ. ამ დრომდე ყრილობამ დაავალა სეკრეტარიატს განაგრძოს პროფინტერნთან თანამშრომლობა. ასეთი გადაწყვეტილება სავსებით ეთანხმება პროფინტერნის წინადადებებს, რომლებიც აღნიშნული იყვნენ მის წერილში ნორვეგიის კავშირებისადმი.

კომუნისტების გამარჯვება.

მოსკოვი. 17 მარტი. სტოკჰოლმის მუნიციპალურ არჩევნებზე შვეციის კომუნისტურმა პარტიამ მიიღო სამი მანდატი, მათ შორის ორი ახალი. ხელახლად აირჩიეს შვეციის კომუნისტების ლიდერი ჩილბუმი. ყველა პარტიებიდან მხოლოდ კომუნისტებმა გაადიდეს საარჩევნო ხმების რაოდენობა.

მუშების გამარჯვება.

მოსკოვი. 17 მარტი. შვეციაში მანქანების სააღმშენებლო ქარხნებში მომხდარ გაფიცვაში გაიმარჯვეს მუშებმა, რომლებმაც მიაღწიეს სამუშაო ხელფასის მომატებას.

რ. კ. პ. იუბილეს დღესასწაული.

მოსკოვი. 17 მარტი. რუსეთის საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლებმა შვეციაში ზეიმით გადაიხადეს რუსეთის კომპარტიის იუბილე.

მოელიან საყოველთაო გაფიცვას.

მოსკოვი. 17 მარტი. ოდელსტინგმა, რომლის შემადგენლობაში შედის სტორტინგის ყველა დეპუტატების სამი მეოთხედი, ხმის უმეტესობით უარჰყო საარბიტრაჟო საამართლოს კანონის ვადის გაგრძელება. კომუნისტებმა და სოციალისტებმა ხმა მისცეს უარყოფისათვის. პოლიტიკური წრეები დარწმუნებული არიან, რომ სტორტინგის გადაწყვეტილებაც ასეთივე იქნება. ამის გამო, ბურჟუაზიული პრესა წინასწარმეტყველობს გაზაფხულისათვის საყოველთაო გაფიცვას, ვინაიდან მუშების დამოკიდებულება მწარმოებლებისადმი ძლიერ გამწვავდა.

ჩეხო-სლოვაკია

სამთომადნო მუშების გაფიცვა.

მოსკოვი. 17 მარტი. ოსტროვის ოლქის 41.000-მა სამთო-მადნო მუშამ სამუშაო დღის გაგრძელებისა და ხელფასის შემცირების გამო გაფიცვა გამოაცხადეს.

მთლიან ფრონტის გზაზე.

მოსკოვი. 17 მარტი. რამოდენიმე სოციალისტური ორგანიზაცია, მათ შორის ჩეხიის ჩრდილოეთის სამთო მუშების ორგანიზაცია, სოლიდარობას უცხადებს თავის რეზოლიუციებში ეროვნულ-სოციალისტების მემარცხენე ფრთის გამორიცხულ წევრებს.

შმერალმა პრესაში განაცხადა, რომ კომუნისტურ პარტიას იმედი აქვს განახორციელოს მემარცხენე ეროვნულ-სოციალისტებთან ერთათ მთლიანი მუშათა ფრონტი.

კომუნისტების გამარჯვება.

მოსკოვი. 17 მარტი. საქარხნო კომიტეტების არჩევნები ჩეხიის სხვა და სხვა ქალაქში კომუნისტების გამარჯვებით და სოციალ-დემოკრატების დამარცხებით დასრულდა.

კომპარტიის ყრილობა რიგს გარეშე.

მოსკოვი. 17 მარტი. 1 აპრილს პრაგაში შესდგება ჩეხიის კომპარტიის რიგს გარეშე ყრილობა, რომელსაც მიზნათ აქვს რესპუბლიკის დაცვის კანონის წინააღმდეგ პროტესტის განხორციელება.

მუშათა სოლიდარობა.

მოსკოვი. 17 მარტი. ჩეხო-სლოვაკიის სამთო-მუშათა ორგანიზაციების სეკრეტარიატმა დაადგინა, გამოცხადებულ იქნას ჩეხო-სლოვაკიის მუშათა სოლიდარობის ერთი კვირის გაფიცვა, უკეთუ ოსტროვის ოლქის გაფიცულთა მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული არ იქნებიან.

ამხ. ლოზოვსკის გადასახლება.

მოსკოვი. 17 მარტი. 14 მარტს ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის მიერ ჩეხო-სლოვაკიის საზღვრებიდან გადასახლებულია პროფინტერნის გენერალური მდივანი ამხ. ლოზოვსკი.

ლიტვის ამბები

მემამულენი მოქმედობენ.

მოსკოვი. 17 მარტი. ლიტვას აღდგენის ნაციონალისტურმა კავშირმა მოიწვია საპროტესტო-მიტინგი ელჩთა კონფერენციის ულტიმატუმის წინააღმდეგ. ორგანოებმა გაილაშქრეს სოციალისტების, კომუნისტების, ებრაელთა და პოლონელების წინააღმდეგ მთავრობისადმი უნდობლობის გამოთქმის გამო. ქალაქში გავრცელებულია „საპოგრომო“ პროკლამაციები.

ერთა ლიგა უკმაყოფილოა.

მოსკოვი. 17 მარტი. კოვნოდან მიღებული ცნობით ელჩების კონფერენციამ აუწყა ლიტვის მთავრობას, რომ პასუხმა მემელის შესახებ გაგზავნილ ულტიმატუმზე კონფერენცია არ დააკმაყოფილა. კონფერენცია მოითხოვს მემელის გადაცემის ყველა პირობების უდავოთ მიღებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ლიტვას ამ საკითხის ხელახლა გადასინჯვით ემუქრება.

ვილნოს ოლქის პოლონეთისათვის გადაცემა.

მოსკოვი. 17 მარტი. ლიტვას ელჩმა პარიზში აუწყა კოვნოს, რომ ელჩთა კონფერენციამ დაადგინა იცნოს პოლონეთის ფაქტიური საზღვრები და გადასცეს მას ვილნო და მისი ოლქი იმ საზღვრებამდე, რომელიც დადგენილია რიგის ხელშეკრულებით.

ბალტიის კონფერენცია

ინტერესი რუსეთისადმი.

მოსკოვი. 16 მარტი. ბალტიის განაპირა სახელმწიფოების ეკონომიური კონფერენციის გამო, რეაქციონური გაზეთი „ილტალეხტი“ სწერს: „რამდენად ძლიერდება რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა, იმდენად უფრო ძლიერდება განაპირა სახელმწიფოების ინტერესი რუსეთის ბაზრის მიმართ. რუსეთთან ეკონომიური კავშირის დაჭერა გამოიწვევს მისგან ეკონომიურად დამოკიდებულებას. ამ საფრთხის წინააღმდეგ საერთო ხაზის გამომუშავება შეადგენდა კონფერენციის უმთავრეს ამოცანას. თუ განხორციელდები კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებები, მაშინ შეიქმნება ეკონომიური ფრონტი რუსეთის წინააღმდეგ, რაც საგრძნობლად განამტკიცებს აგრეთვე პოლიტიკურ ფრონტს. ამავე შეხედულებას გამოსთქვამს შვეციის მემარჯვენე გაზეთი „ხუვუტოტოტს ბლადეტ“-ი.

კონფერენცია და რუსეთი.

მოსკოვი. 17 მარტი. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ფინეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბენოლამ განაცხადა, რომ ბალტიის განაპირა სახელმწიფოთა კონფერენციაზე რუსეთთან ეკონომიურ დამოკიდებულობის საკითხი არ დასმულა. ბენოლას სიტყვით კონფერენციებზე გამოითქვა სურვილი რუსეთთან მტკიცე დამოკიდებულების დაკავების შესახებ და ამის გამო გამოიტანეს გადაწყვეტილება ბალტიის სახელმწიფოთა პორტების მოწყობის შესახებ იმ მიზნით, რომ უკეთ მოეწყოს რუსეთის ტრანზიტისადმი დამოკიდებულების საქმე.

შორეულ აღმოსავლეთში

გაზეთების კონფისკაცია იაპონიაში.

მოსკოვი. 17 მარტი. ტოკიოდან იუწყებიან, რომ იაპონიაში ფოსტით გაგზავნილ ვლადივოსტოკის გაზეთებს პოლიცია კონფისკაციას უშვება.

უწინ მხარს უჭერდენ, ეხლა ემუქრებიან.

მოსკოვი. 17 მარტი. ჩიტიდან იუწყებიან, რომ იაპონიის მთავრობა ცნობილ თეთრგვარდიელ სპირიდონ მერკულოვს იაპონიის საზღვრებიდან გაძევებით ემუქრება თუ ის პოლიტიკურ ინტრიგებს თავს არ დაანებებს.

სავაჭრო ექსპედიცია მონღოლეთში.

მოსკოვი. 16 მარტი. პირუტყვის და ნედლი მასალის რესურსების სიმცირის გამო ციმბირის სავაჭრო-სამეურნეო ორგანოებმა გადასწყვიტეს მოაწყონ გაერთიანებული სავაჭრო ექსპედიცია მონღოლეთში.

ვლადივოსტოკი დამშეულებს.

მოსკოვი. 16 მარტი. ვლადივოსტოკიდან 14 მარტს გაიგზავნა საბჭოთა რუსეთის დამშეულ რაიონებში სურსათის პირველი მარშრუტი, 30 ვაგონის შემადგენლობით.

სხვადასხვა ამბები

ნორვეგია

ნანსენი რუსეთის შესახებ

მოსკოვი. 17 მარტი. ნანსენმა ქრისტიანიის სტუდენტთა საზოგადოებაში საბჭოთა რუსეთზე მოხსენება წაიკითხა, სადაც მან ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი წარმოადგენს დიდმნიშვნელოვან ფაქტორს ევროპის ეკონომიურ ცხოვრებაში და რომ მხოლოდ მისი შემწეობით ევროპას შეუძლია დააღწიოს თავი იმ ქაოსს, რომელშიდაც ის იმყოფება.

ესტონია

კიდევ ერთი გამარჯვება.

მოსკოვი, 17 მარტი. რეველში მუშათა ორგანიზაციების გაფართოვებულ სხდომაზე ერთხმათ იყო მიღებული რეველის საარჩევნო ოლქის ერთიან ფრონტის კანდიდატთა საარჩევნო სია კომუნისტურ ლიდერებით სათავეში.

ფინეთი

ამნისტიაზე უარს ეუბნებიან.

მოსკოვი. 17 მარტი. თანახმად ჰელსინგფორსიდან მოსულ ცნობ ფინეთის სეიმის სხდომაზე პასუხ მუშათა პარტიების შეკითხვაზე ა ნისტიის იმ პირებზე გავრცელებ შესახებ, რომელთაც მონაწილეო მიიღეს 18 წლის აჯანყებაში, პრემიე მა განაცხადა, რომ საერთო ამნისტ შეუძლებელია. დასაშვებია მხოლო ზოგიერთ პატიმართა განთავისუ ლება სპეციალური შუამდგომლობ და შეწყნარებით. პრემიერის პასუხ გარშემო კამათმა დიდხანს გასტან

სამხრეთ-სლავია.

მუშათა ორგანიზაციების დევნა.

მოსკოვი. 17 მარტი. სამხრე სლავიის პოლიციამ დაიკავა ბრ დაში მუშათა სახლი და მო წყო იქ პოლიციის გაუპტ ხტა, პოლიციის მხრივ ეს ზო იყო გამოწვეული ზოგრობსკის ოლ ქის უფროსის საიდუმლო ცირკულ რით, რომელმაც გასცა განკარგულ ბა დაეხურათ ყველა დამოუკიდებ კავშირები.

წითელ ბანაკებში

რუსეთი

რუსეთის კომპარტიის იუბილეს დღესასწაული პეტროგრადში.

მოსკოვი. 16 მარტი. რუსეთის კომპარტიის იუბილეს დღესასწაული პეტროგრადში ჩატარდა არაჩვეულებრივი ზეიმით და აღფრთოვანებით. ქუჩაში გამოვიდა 25.000 მუშა-ახალგაზრდობა და თითქმის ყველა ფაბრიკების და ქარხნების მუშები. საღამოს 5 საათზე ყველა ქუჩები გავსებული იყო ხალხით ისე, რომ ტრამვაი იძულებული შეიქნა შეეჩერებია მიმოსვლა ქუჩებზე.

საზეიმო სხდომაზე მარინის თეატრში გამოვიდა ამხ. ზინოვიევი, რომელმაც აღნიშნა პარტიის ცხოვრების და მისი მუშაობის უმთავრესი მომენტები. ზინოვიევის სიტყვის შემდეგ პარტიის პეტროგრადის კომიტეტს გადაეცა პეტროგრადის ფაბრიკების მუშებისა, მოსწავლეებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან ადრესები და დროშები. ამავე სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ დიდი ბრიტანეთის კომპარტიის წარმომადგენელი მაკ მანუსი, საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენელი ლორიო და ამერიკის ნეგრ-მუშათა წარმომადგენელი მაკეი. კრებამ გაუგზავნა ამხ. ლენინს მისასალმებელი დეპეშა.

რიგის ხელშეკრულობის ცნობა.

ლონდონი. 16 მარტი. ელჩთა-კონფერენციამ იცნო სანაპირო ხაზი პოლონეთსა და რუსეთის შორის, რომელიც გაყვანილი იყო რიგის ხელშეკრულობით 1921 წელს მხრივ პოლონეთსა და უკრაინის რის, რაც შეტანილია კონფერენ მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებ

ამხ. დომბალი რუსეთში.

მოსკოვი. 17 მარტი. 15 მ კოლოსოვის სანაპირო სადგურზე ხდა 23 პოლონელ კომუნისტის ცვლა. ამხ. დომბალის, ლაუერ პუანკევიჩის მეთაურობით. პოლონ ამხანაგები შემოვიდენ საბჭოთა რიტორიაზე რევოლიუციონური სი რით და წითელი დროშებით.

სადგურზე მათ შეხვდნენ კო ტერნის, რუსეთის კომუნისტურ ტიის წარმომადგენლები და რუ გზელები, 16 მარტს საღამოს 3 სა მინსკში ჩავიდა სპეციალური მა ბელი პოლონელ კომუნისტებით. ს.-ის პარტიულ ორგანიზაციის, ნის გზელთა, წითელ არმიელთა მუშების მიერ მოწყობილ იქნა ს მო შეხვედრა. მისალმების საპას ამხ. დომბალმა სთქვა, რომ პო ლი კომუნისტები საბჭოთა რუ გააგრძელებენ ბრძოლას პოლონ ბურჟუაზიისთან. ამასთან პოლ კომუნისტები მღეროდენ ცნობ მიერ დაწერილ რევოლიუციონ ლექსებს ბუდიონის შესახებ. სა რიდან პოლონელი ამხანაგები მგზავრენ „კულტურის“ სახლში, დაც მუშათა და პროფესიონ ორგანიზაციების წარმომადგენ მრავალრიცხოვან კრების თანად ბით მოხდა ჩამოსულების პატივ მა, რომელიც გაგრძელდა დილ

კომინტერნის მოწოდება

მოსკოვი. 16 მარტი. კომინტერნმა გამოუშვა მოწოდება, რომელიც შეეხო ჩეხო-სლოვაკიაში მიღებულ საგანგებო კანონს კომპარტიის წინააღმდეგ, ხაზს უსვამს რა, რომ ჩეხო-სლოვაკიის სახელმწიფო არის საფრანგეთის ძალადობის პოლიტიკის საპოლიციო იარაღი, მოწოდება აღნიშნავს ამ პოლიტიკის შედეგებს:

მეურნეობის სრულ მოშლას, ზღაპრულ უმუშევრობას და საფრანგეთის იმპერიალიზმის ავანტიურაში ჩაბმის მუდმივ საფრთხეს. 5 წლის განმავლობაში ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა იყენებს დემოკრატიას ფართო მასებთან საბრძოლველად, ემყარება რა სოციალ-დემოკრატების დახმარებაზე. ამ ჟამად, რათა მოიგერიოს მშრომელთა თავდასხმა, მთავრობა სტოვებს დემოკრატიულ პლატფორმას და ღებულობს განსაკუთრებულ განსაკუთრებული კანონი კომპ წინააღმდეგ ნამდვილად მიმართ ყოველგვარ პოლიტიკური მ და აშკარა კრიტიკის წინააღ ეს კანონი, რომელიც მიღებულ ციალ-დემოკრატების ბელადებ ციატივით, აშკარად ამ მე-II-ე ინტერნაციონალის კ რევოლიუციონურ მნიშვნელობ

მოწოდებაში კომინტერნი გამოსთქვამს, რომ ჩეხო-სლოვ პროლეტარიატი შესძლებს ფილების ერთიანი ფრონტის და მოიგერიებს მის წინააღმდ მართულ იერიშებს. ჩეხო-სლოვ მუშებს სრული იმედი უნდა რომ კომინტერნი მათ გაუწ მარებას უთანასწორო ბრძოლ რომელიც მათ მოელის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობა

(მე-3-ე სხდომა)

ყრილობის მე-3 სხდომა შესდგა 15 მარტს, საღამოს 6 საათზე ამხ. **მიხა ცხაკაიას** თავმჯდომარეობით.

ყრილობამ პირველ რიგში მოისმინა ამხ. მამია ორახელაშვილის მიერ ქართულად გამოქვეყნებული ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში ახლა უკვე რუსულ ენაზე. შემდეგ ცეკას საორგანიზაციო ანგარიშისათვის სიტყვა მიეცა ამხ. კახიანს.

ცეკას საორგანიზაციო ანგარიში.

ამ სამი თუ ოთხი თვის განმავლობაში საორგანიზაციო მუშაობის დარგში ცენტრალურმა კომიტეტმა ბევრი რამ გააკეთა. რასაკვირველია, არ შეიძლება ითქვას, ამბობს მომხსენებელი, ვინაიდან ასეთ მოკლე დროს არ იყო საკმარისი ყველა იმ სამუშაოს შესასრულებლათ, რაც ცეკას წინაშე იდგა. ცეკას ეღობებოდა წინ ის დაბრკოლებები, რომლებზედაც უკვე იყო ლაპარაკი. გარდა პარტიის იმ გაწმენდისა, რომელიც გატარებულ იქნა გასაბჭოების პირველ ხანებში, ცენტრალურმა კომიტეტმა ჩაატარა მეორე გაწმენდა. პირველ გაწმენდას, რომელიც მოხდა გარდამავალ პერიოდში, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემოღების დროს, უნდა გამოეცალა პარტიის წევრები და პარტიის გარეშე დაეტოვებინა ყველა მერყევი ელემენტები. პირველმა გაწმენდამ ამ მხრივ სრულიად დადებითი შედეგები ვერ მოგვცა. ამისათვის დაისვა საკითხი მეორე გაწმენდის შესახებ. ეს გაწმენდა ჩატარებულ იქნა და მოგვცა დადებითი შედეგები. გაწმენდამდე პარტიაში ირიცხებოდა 18.837 კაცი; გაწმენდის შემდეგ დარჩა 11 ათას ნახევარი წევრი და რამდენიმე ასი კანდიდ. პარტიის გაწმენდამდე სოციალურ მდგომარეობის მიხედვით წევრთა რაოდენობა ასეთი იყო: 12 პროც. მუშები; 7.4 პროც. ხელოსნები; 60 პროცენტი გლეხები; 19,9 პროცენტი მოსამსახ. დანარჩენი გამოურკვეველია. გაწმენდის შემდეგ მუშები—17,6; ხელოსნები—9.2; გლეხები 56,5; მოსამსახურეები—16.7. წმენდის შემდეგ, ამ რიგად, მუშების რაოდენობა გადიდდა 12 პრ. 17 პრ.-მდე. პარტიის წმენდის დროს ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც წევრები აცხადებდნენ პარტიიდან გამოსვლის სურვილს. მაგალითად გორის მაზრაში 100 წევრმა გაწმენდის დაწყებამდე განაცხადა სურვილი პარტიიდან გამოსვლის. ეს მოვლენა, როგორც სჩანდა გამწმენდ კომისიების მოხსენებიდან, გამოწვეული იყო აგრარულ რეფორმის გაუტარებლობით ერთის მხრივ და მეორე მხრივ იმით, რომ გლეხებს პარტიის წევრებს, რომელთა შორის უფრო ხშირად ადგილი ჰქონდა ასეთ მოვლენას, საძნელოდ და შეუძლებლად მიაჩნდათ პარტიულ მოვალეობების ასრულება: მობილიზაციები, სამსახური საგანგებო დანიშნულ ნაწილებში და სხვა. გამწმენდ კომისიების ანგარიშებიდან გამოირკვა აგრეთვე ის, რომ ზოგიერთი მაზრები ძლიერ ჩამორჩენილნი არიან, როგორც პარტიულ მუშაობის მხრივ, ისე სხვა მხრივაც. ასეთ ჩამორჩენილ მაზრებს წარმოადგენს მაგ. თელავის მაზრა და ოზურგეთის მაზრა.

სამაგალითო ორგანიზაციას, სადაც მუშაობა კარგად მიმდინარეობს, როგორც გამწმენდ კომისიის ცნობიდან სჩანს, წარმოადგენს სიღნაღის მაზრის ორგანიზაცია.

რაც შეეხება კომუჯრედებს მათი რიცხვი საქართველოს ორგანიზაციებში სულ აღწევს 1000-მდე, მაზრებში არსებობს აგრეთვე სულ 500 სათემო კომიტეტები. ამ კომიტეტებმა ვერ გაამართლეს თავიანთი დანიშნულება და ამისათვის საორგანიზაციო განყოფილებას განზრახული აქვს მოიწვიოს ამხანაგების თათბირი მე-12-ე ყრილობის შემდეგ, გააუქმოს ისინი და შემოიღოს რაიონული ორგანიზაციები.

კავშირი ადგილებთან.

კავშირი ადგილებთან ცენტრალურ კომიტეტს ჰქონდა ძლიერ მჭიდრო. პლენუმის პირველ სხდომაზე დადგენილ და შესრულებულ იქნა კიდეც ცეკას პლენუმისა და პრეზიდიუმის წევრების მიერ მაზრების უშუალო გადასინჯვა-დათვალიერება. ხშირად იგზავნებოდნენ ცეკას წევრები პროვინციებში სხვა და სხვა კამპანიების ჩასატარებლად. ყოველთვიურად ცეკა ღებულობს ცნობებს მაზრებიდან, ცნობა მას საჩქაროდ და ღებულობს ზომებს საქმის სათანადოთ მოსაგვარებლად. პირველ სხდომაზევე გამოტანილ იქნა დადგენილება სასამართლოს რეორგანიზაციის შესახებ. ამ მიზნისთვის მოხდა ამხანაგების მობილიზაცია და თუ წინეთ სასამართლოებში 60—80 პროც. არა საიმედო პირების ხელში იყო საქმე, ამ ჟამად ისინი გამოძევებულები არიან სასამართლოებიდან და მათ მაგიერ დანიშნულნი არიან პატიოსანი მშრომელები. ასეთივე მობილიზაცია მოხდა ტფილისის მუშების, პროვინციებში გადასაგზავნად მიწის რეფორმის გასატარებლად. საორგანიზაციო მუშაობის მხრივ კიდევ ის არის აღსანიშნავი, რომ მოხდა შეერთება ქალაქის და მაზრის, რაც რასაკვირველია, უფრო გააუმჯობესებს ტფილისის მაზრის მდგომარეობას.

სააგიტაციო-საპროპ. მუშაობა.

თუ წინეთ ლაპარაკი იყო სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების სუსტ მუშაობის შესახებ, ახლა ამის თქმა იმდენად აღარ შეიძლება, ვინაიდან საანგარიშო დროს განმავლობაში ამ განყოფილებას ჰქონდა გარკვეული გეგმა და პროგრამა თავისი მუშაობისა. მაგალითად საანგარიშო დროის განმავლობაში ჩატარებულია 18 კამპანია. ასეთი რიცხვი ახასიათებს სამხედრო კომუნიზმის ხანას, როდესაც ბევრი აგიტაცია არის საჭირო. ამ ჟამად კი რაც შეიძლება უნდა შემოკლდეს სააგიტაციო მიტინგების რიცხვი. განსაკუთრებით კარგათ ჩატარდა მიწის რეფორმის, ანტი რელიგიური კამპანიები, ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავი და საქართველოს გასაბჭოების 2 წლის თავი.

პარტიული სკოლების დაარსება საჭირო საშუალებების და ძალების უქონლობის გამო, გადაწყვეტილ იქნა ისეთ ცენტრებში, როგორც არის ქუთაისი და ბათუმი. ცენტრალური პარტიული სკოლა მოქმედებდა პირველ ხანებში კარგად, მაგრამ შემდეგ მუშაობა შეფერხდა გამგის უვარგისობის გამო. დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული პრესას. მიღებულ იქნა გაზეთ „კომუნისტის" გაძლიერება და დიდ პოლიტიკურ გაზეთად გადაქცევა და მასსიურ გაზეთების ქართულ ენაზე „მუშის" და რუსულზე „რაბოჩაია პრავდა"-ს შექმნა. ბეჭდვითი განყოფილებამ დიდი ენერგია გამოიჩინა. გამოშვებულ იქნა 20 გამოცემა. მზადდება მშვენიერი გამოცემა კომუნისტურ მანიფესტის. გამოდის ცეკას პერიოდული ჟურნალი „კომუნიზმის დროშა", მაგრამ მისი საქმე კარგად დაყენებული არ არის ჯერ კიდევ.

კავშირი ახალგაზრ. კომკავშირთან,

ცეკას დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ახალგაზრდათა კომკავშირისადმი. კავშირი მასთან ცეკას ჰქონდა ძლიერ მჭიდრო. როგორც ტფილისში ისე ადგილებზე ეწყობოდა პარტიის და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრებები. ცეკამ ყურადღება მიაქცია შევარდენის ორგანიზაციას, სადაც იზრდებოდა მოწამლული ახალგაზრდობა. ეს ორგანიზაცია დაშლილ იქნა და შესდგა ახალი სასპორტო ორგანიზაცია „სპარტაკ"-ათ წოდებული. სადაც წევრებათ მიიღებიან განსაკუთრებით მშრომელი ახალგაზრდები.

ქალთა შორის მუშაობა.

სუსტი იყო მუშაობა ქალთა შორის, ზოგიერთ ამხანაგებში თავი იჩინა „ლიკვიდატორულმა" განწყობილებამ ქალთა განყოფილებებისადმი. ცეკა ებრძობა ასეთ განწყობილებას. საქართველო წარმოადგენს აღმოსავლეთის ქვეყანას და ამ საკითხს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. კარგად ჩატარდა მუშა-ქალთა 8 მარტის დღესასწაული როგორც ტფილისში, ისე პროვინციებში, მაგრამ ეს ხომ საკმარისი არ არის.

კავშირი წითელ არმიასთან.

წითელ არმიასთან შექმნილი იყო მჭიდრო კავშირი. იმართებოდა შეერთებული საზოგადო კრებები, სადელეგატო კრებები. შემოღებულ იქნა შეფობა, რომელმაც მიიღო ფართო ხასიათი. რამდენიმეჯერ მოხდა დაახლოება მუშებისა ჯარისკაცებთან წარმოებული იქნა ნამდვილი დაძმობილება მუშებისა მუშათა და ჯარისკაცთა შორის.

კოოპერაცია

ცეკამ დიდი ყურადღება მიაქცია კოოპერაციას. განსაკუთრებით ცეკავშირს. გამოძევებულ იქნა იქიდან ყველა ანტი საბჭოთა ელემენტები და სათავეში ჩაუდგა კოოპერაციას ჩვენი ამხანაგები.

საგანგებო დანიშნულების ნაწილები.

საგანგებო დანიშნულების ნაწილებმა დიდი აქტივობა გამოიჩინეს ბანდიტებთან ბრძოლაში. უკანასკნელად საულუფის შემცირების გამო განზრახულია მხოლოდ ზოგიერთ მთავარ მაზრებში დატოვებულ იქნას საგანგებო დანიშნულების ნაწილები.

ასეთია მთელი მუშაობა ცენტრალურ კომიტეტისა საორგანიზაციო დარგში. მან შესძლო აქტივობის გამოწვევა წევრთა შორის და სისწორით გადაჭრა სამი საკითხი: აგრარული რეფორმის, სასამართლოს რეორგანიზაციის და რელიგიის საწინააღმდეგო ბრძოლის შესახებ. ცეკას მოხსენების გარშემო გაიხსნა კამათი.

ყრილობის დეპეშები.

ყრილობის თავმჯდომარეს.

ქ. ფოთის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭო თქვენის სახით უგზავნის სალამს საქართველოს კომპარტიას და უსურვებს მას საბოლოო გამარჯვებას კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პრეზიდიუმის მდივანი **მეუნარგია**

საქართველოს კომპარტიის მე-2 ყრილობას.

ქარხანა „ლენინი"-სა და „25 ოქტომბერი"-ს იაჩეიკის საზეიმო სხდომა, უპარტიოთა, სამოსწავლო-კადრის პოლკის ავტო-ჯავშნოსან რაზმისა და 2 კავკასიის საკავალერიო კურსების წარმომადგენელთა მონაწილეობით, კომუნისტური პარტიის 25 წლის თავზე მხურვალე სალამს უძღვნის პარტიის სრულიად საქართველოს მეორე ყრილობას. მინსკის არალეგალურ ყრილობიდან მუშათა კლასის საქმისათვის 25 წლის დაუღალავ ბრძოლის შემდეგ, მისი საუკეთესო მებრძოლთა მსხვერპლის საშუალებით ჩვენმა პარტიამ გამარჯვებამდე მიიყვანა მთელი მსოფლიოს მეექვსედი ნაწილის პროლეტარიატი. დეე, გახდეს ბრძოლისა და გამარჯვებების ეს 25 წელი მაგალითად მსოფლიო რევოლიუციონურ მოძრაობისათვის, დეე, ამოიღოს მან ამ მოძრაობიდან კაპიტალის ძალა-უფლების მოსპობისათვის რწმენა და ძალა.

გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიის მე-2 ყრილობას!

გაუმარჯოს კომპარტიის 25 წლის თავს!

გაუმარჯოს მის წინამძღოლს ამხ. ლენინს!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას!

საუბარი ყრილობის დელეგატთან

მდგომარეობა ქუთაისის მაზრაში

(საუბარი ამხ. გ. ბახტაძესთან).

მიწის საკითხი. მაზრაში საბჭოთა ხელისუფლების მოწყობის პირველ დღეებიდანვე, მიუხედავათ იმისა, რომ მსხვილი მიწათმფლობელობა თითქმის არ მოიპოვება, მიწის საკითხი წამოყენებული იქნა პირველ რიგში და ის აღიარებულ იქნა კითხვათ, რომელიც სერიოზულ ყურადღებას და თავის დროზე გადაჭრას მოითხოვს.

პირველი ჩვენი კონფერენციები, როგორც პარტიული ისე საბჭოთა, მთავარ ყურადღებას ამ საკითხის პრაქტიკულად და მიზანშეწონილად გადაჭრას აქცევდენ.

შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ჩვენ შევსძელით მიწის რეფორმის გადაჭრა და მისი ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარება, განსაკუთრებით შეიძლება ითქვას ეს ჩვენი მაზრის ორ დიდ რაიონის—ხონისა და სამტრედიის შესახებ.

არავითარ ექსცესებს მიწის რეფორმის გატარების დროს ადგილი არ ქონია.

მიზანშეწონილად და სწორად დაწყებული გატარება მიწის რეფორმისა გრძელდება ახლაც. ეს რეფორმა საბოლოოთ აღმოფხვრის თვითმპყრობელობის და მენშევიკების მემკვიდრეობას სოფლათ და გაამაგრებს ჩვენს გავლენას გლეხობაში.

სასამართლო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას ჩვენ მემკვიდრეობით დაგვრჩა წმინდა ბიუროკრატიულ პრინციპზე აშენებული და ანტი-რევოლიუციონური სასამართლო ორგანიზაციები.

სასამართლო ორგანიზაციების ასეთ უარყოფითი მხარეს მეტად მწვავედ გრძნობდა ჩვენი გლეხობა.

სასამართლო ორგანიზაციებიდან ამ ატმოსფერის აღმოფხვრა და მათი ნამდვილ მუშათა და გლეხთა დამცველ ორგანოებათ გადაქცევა ჩვენ მორიგ ამოცანათ გადაიქცა.

ეს კითხვა მეტად ძნელი აღმოჩნდა და დიდი და მძიმე მუშაობა მოითხოვა.

ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი შედეგები უკვე მიღწეულია: მაგალითად ქუთაისში ხანგრძლივი მომზადების შემდეგ (ჩვენ შევქმენით სპეციალური კურსები) გამოვცვალეთ სახალხო მოსამართლეთა მთელი ძველი შემადგენლობა, რომელთა ადგილი დაიჭირა მუშა-კომუნისტებმა.

გუშინდელი პარიკმახერები და დურგლები ახლა „მოსამართლეობენ" და როგორც „სპეცები" მოწმობენ, ძალიან კარგი მოსამართლეები არიან. ყოველ შემთხვევაში ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი მუშებისა და გლეხების ინტერესებს კარგად დაიცავენ.

მუშაობის პერსპექტივები ისეთია, რომ ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ—ახლო მომავალში სასამართლო გადაიქცევა მუშებისა და გლეხების მონაპოვართა განმტკიცების მძლავრ იარაღად.

ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ ჩვენს მაზრაში მიიღო ფართო ხასიათი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ კამპანიას არ გამოუწვევია ასეთი დიდი ინტერესი და ყურადღება მცხოვრებთა ფართო წრეებში, როგორც ეს გამოიწვია ანტი-რელიგიურმა კამპანიამ. ჩვენ შევსძელით მიგვეცა ამ კამპანიისათვის ისეთი ხასიათი, რომელიც შეძლებას მოგვცემს აღმოვფხვრათ ეს რელიგია არა მარტო ეკლესიებში და მონასტრებში (მაგალ. მათი დახურვით), არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, თვით მორწმუნეთა თავებშიაც. გრანდიოზული ხასიათი ჰქონდა ძმ. დავითი და კონსტანტინეს „ნეშთების" გახსნას (მოწამეთის მონასტერი), რომელსაც დაესწრნენ დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონების და მაზრების წარმომადგენლები.

ასეთივე ხასიათი ჰქონდა საკათედრო ტაძრის ჩამორთმევას; ტაძარი ჩვენ გადავეცით ქ. ქუთაისის მოწაფეებს, „მოწაფეთა სახლის" მოსაწყობად.

ამას გარდა ქალაქ ქუთაისში თვით ებრაელ ახალგაზრდობის მოთხოვნილებით დახურულ იქნა ორი სინაგოგა.

ამას გარდა-ხანგრძლივი და ფართო პროპაგანდა — აგიტაციის შემდეგ, თვით გლეხების მრავალრიცხოვან კრებებზე მიღებულ დადგენილებების გამო სამტრედიის რაიონში დახურულია 4 ეკლესია.

მუშაობა ამ სფეროში გრძელდება იმავე ტემპით და ყურადღებით, პარტიულ კომიტეტებთან დაარსებულია სპეციალური კომისია, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მთელ ამ მუშაობას.

სახელმწიფო აპარატები. ჩვენი მუშაობის პირველ ხანებში არა ჩვეულებრივათ გაბერილი და ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ ნაძირალებით ავსილი სახელმწიფო აპარატები თანდათან. შემცირდენ (ზოგიერთი სულაც მოისპო), გაიწმინდენ და ამ ჟამათ ჩვენ გვაქვს მაქსიმალურათ გაწმენდილი და დამაკმაყოფილებელ კონსტრუქციის აპარატები. მაგრამ ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება საჭირო ყურადღება და შეუწყნარებელი ბრძოლა ბიუროკრატიზმისა და „კანცელიარშჩინა"-სთან.

განათლება. სასწავლებლების, მასწავლებელთა და მოსწავლეების რაოდენობის მხრით, ქუთაისის მაზრას, სხვა ადგილთა შორის, ერთი პირველთაგანი (თუ უპირველესი არა) ადგილი უჭირავს. შოვინიზმი, ნაციონალიზმი და კონტრ-რევოლიუცია სასწავლებლებში ეძებდენ თავის ბუდეს და, მართლაც, იქ იპოვეს საუკეთესო თავშესაფარი. ჩვენ თავიდანვე მივაქციეთ ჩვენი ყურადღება ამ გარემოებას. საუკეთესო ამხანაგები გაგზავნილ იქნენ სასწავლებლებში სამუშაოდ, რის შედეგად ჩვენ უკვე [illegible]ღლით დადებითი ნაყოფი. უკანასკნელ პარტიულ კონფერენციის დღის წესრიგში შეტანილი იყო სახალხო განათლების განყოფილების მოხსენება, რომლის თანახმად ამ მუშაობის შედეგები დამაკმაყოფილებელია. კონფერენციამ დაავალა ახალ კომიტეტს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კულტურულ ფრონტს, მოკლედ: სკოლის გაწმენდა მიმდინარეობს სწრაფი ტემპით და საჭირო ტაქტით და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახლო მომავალში განადგურებული იქნება განათლების შენობაში მოკალათებულ ქართულ შოვინიზმის უკანასკნელი ბუდე.

ბანდიტიზმი. ბანდიტიზმი ჩვენს მაზრაში არ ყოფილა და მით უფრო ადგილი არა აქვს ეხლა.

ყაჩაღური თავდასხმების რიცხვი საგრძნობლათ შემცირდა.

მილიციის ენერგიული მოქმედების წყალობით ცალკე ყაჩაღთა ჯგუფები ნადგურდება. ამ დღეებში მოკლეს ორი „ცნობილი" ყაჩაღი.

საერთოდ მაზრაში სიწყნარეა. შეიძლება ითქვას, რომ გლეხის მშვიდობიანი შრომა მაზრაში უზრუნველყოფილია.

მენშევიკები. ამ პარტიის გავლენა საკმაოთ ძლიერი (განსაკუთრებით მცხოვრებთა მეშჩანურ წრეებში) მაზრაში ჩვენი მუშაობის პირველი დღეებიდანვე თანდათანობით და საკმაოთ სწრაფად ქრებოდა.

ამ ჟამად მენშევიკურ პარტიას მუშათა და გლეხთა მასებში არავითარი გავლენა არა აქვს.

და თუ მენშევიკური პარტია მაინც არსებობს, ის უკვე აღარ არის მუშათა და გლეხთა ინტერესების გამომხატველი, არამედ როგორც ქუჩური უსაქმო ელემენტების, ღვინის სარდაფების გმირების და ფაქტიურად უკვე გადაგვარებულ ინტელიგენტურ წრეების პარტია.

ამ ჯურის ვაჟბატონები „დემოკრატიის" ბატონობის დაბრუნებასთან ერთად მეფე ირაკლის ტახტზეც კი ოცნებობენ.

ჩვენი გამარჯვების და მენშევიკური პარტიის საბოლოოთ გაკოტრების საუკეთესო მაჩვენებელია 25 თებერვლის დღესასწაულის დიდის ზეიმით ჩატარება.

25 თებერვლის დღესასწაულში, რომელიც ასე სძულთ მენშევიკებს, აუარებელმა მშრომელებმა მიიღო მონაწილეობა.

ასეთია მოკლეთ ჩვენი მაზრის მდგომარეობა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება „იცნო" არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც ქ. ქუთაისის და მისი მაზრის მშრომელთა 99 პროც., როგორც საკუთარი პარტია, როგორც საკუთარი ხელისუფლება.

მდგომარეობა სამხრეთ-ოსეთში

(საუბარი სამხრეთ-ოსეთის ცენტრ. აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჯატიევთან)

სამხრეთ-ოსეთი, დაიწყო ამხ. ჯატიევმა, ორ ნაწილად გაიყოფება: მთიანი და დაბლობი ნაწილი.

მთიან ნაწილში, სადაც მიწის დიდი სიმცირეა, თესვას იწყებენ მაისის დამლევს ან ივნისის პირველ რიცხვებში.

მიწის რეფორმის გატარებას ჯერ არ შევდგომივართ.

რაც შეეხება დაბლობ ნაწილს, იქ ინსტრუქციების გვიან მიღების გამო (მივიღეთ 1-ლ მარტს) მიწის რეფორმის გატარებაში ერთგვარ გაუგებრობას ქონდა ადგილი.

ახლა ადგილობრივ არსებობენ თემის მიწის კომისიები, რომლებიც უკვე შეუდგენ მუშაობას. მათ დასახმარებლათ მობილიზაციით გაწვეული იქნა 24 კომუნისტი და 15 მარტისათვის ჩამორთმეულ იქნა 600 დესეტინა მიწა. ამ მიწების 95 პროც. უკვე გადაეცა გლეხობას, დანარჩენი 5 პროც. კულტურულ ღირებულებას წარმოადგენს (ბაღები, ვენახები) და მიწად-მოქმედების კომისარიატის განკარგულებაშია.

საერთოდ კი მიწის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული გადასახლების საკითხთან. დაწვრილებითი პროექტი ამის შესახებ უკვე გამოგზავნილია ცენტრში.

სარწმუნოებასთან ბრძოლას სამხრეთ ოსეთში არაჩვეულებრივი ხასიათი აქვს. ბევრგან კიდევ დარჩენილია კერპთაყვანისმცემლობის ნაშთები (თითეულ გვარს ყავს საკუთარი ღმერთი, არის ღმერთი მეომრების, ცხვრების, ავადმყოფობის და სხვა).

ცხინვალს გარდა მთელ სამხრეთოსეთში მხოლოდ ერთი ეკლესია არის. ანტირელიგიური პროპაგანდას ქრისტიანობის წინააღმდეგ ყველგან თანაგრძნობით ხვდებიან.

მხოლოდ „მოხუცები" არიან უკმაყოფილო კერპთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ ბრძოლით.

ჩვენს ამოცანას შეადგენს გამოვიყენოთ მომენტი, როცა კერპთაყვანისმცემლობა კვდება, ქრისტიანობას კი ჯერ ფესვები არ გაუდგამს.

კერპთაყვანისცემის წესები, მიცვალებულთა და წინაპართა „მოგონება" მძიმე ტვირთად აწევება გლეხს. მიცვალებულის „მოგონება" წელიწადში გლეხს 800—1200 მანეთი უჯდება ოქროთი.

საბჭოების ყრილობამ გამოიტანა დადგენილება მოისპოს ეს მეტად ძვირი წესები, ნაშთი ცრუმორწმუნეობისა.

სასკოლო საქმეები, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ანტირელიგიურ პროპაგანდასთან, მეტად მძიმე მდგომარეობაშია.

მენშევიკების მიერ აწიოკებული მცხოვრებნი ვერ ახერხებენ სკოლებისათვის საჭირო შენობის მოცემას (მენშევიკებმა 6 რაიონში სრულიად გაანადგურეს სასკოლო შენობები).

მიუხედავათ ამისა 40 სკოლა მაინც გვაქვს. ცხინვალში არის პედაგოგიური ტეხნიკუმი.

განათლების მუშაკთა მცირე ხელფასი იწვევს ამ დარგის მუშაკთა რიცხვის შემცირებას რაიონში. განათლების კომისარიატმა ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს.

მენშევიზმს სამხრეთ-ოსეთში, რომელმაც თავის ზურგზე განიცადა მათი ბატონობა და ბოლოს „დაწყნარება" არავითარი გავლენა არა აქვს.

ჩვენი პარტიის გავლენა დიდია.

საჭიროა ჩვენი ძირითადი პარტიული ორგანიზაციების გაძლიერება.

უკანასკნელმა პარტიულმა ყრილობამ აღიარა, რომ რაიონში პარტიული მუშაობის საქმე გაუმჯობესდა.

მდგომარეობა ბორჩალოს მაზრაში

(საუბარი ბორჩალოს მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბაბანოვთან.)

მიწების ჩამორთმევა, ამბობს ბორჩალოს სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბაბანოვი, ალბათ უკვე დამთავრებულია. დაწვრილებით ცნობები მოკლე ხანში გვექნება. ამ დღეებში ჩამორთმეული იქნება მემამულეების სახლები შულავერში. ბანბიაშვილების, ორბელიანების და სხვა მემამულეების მიწები უკვე გადაეცა გლეხებს. მიწის კომიტეტები ყველგან შესდგებიან უმიწაწყლო და ღარიბის გლეხებისგან.

მენშევიკები მემამულეებს უჭერენ მხარს, ამას წინათ მენშევიკებმა გამოუშვეს ფურცელი, რომელშიც მოუწოდებენ გლეხებს არ დაუჯერონ კომუნისტებს, რომლებიც ატყუებენ მათ.

მაგრამ გლეხები კარგათ ხედავენ თუ საით არის სიმართლე და მენშევიკების მოწოდებები მათზე არავითარ გავლენას არ ახდენენ.

ეკლესიისაგან განთავისუფლება. შულავერში იყო ერთი ძველი ეკლესია, სადაც მსახურებდა მოხუცი მღვდელი. ამ რამდენიმე დღის წინათ ეს მღვდელი გამოცხადდა აღმასკომში და სთხოვა აღმასკომის წევრებს ჩაიბარონ ეკლესია. გლეხებს განზრახვა აქვთ ეკლესიაში მოაწყონ კლუბი. კლუბის მოსაწყობათ მუშაობა უკვე დაწყებულია.

რაც შეეხება იმ სოფლებს, სადაც არ არის არც ეკლესია და არც მღვდლები, გლეხები მიცვალებულებს სამოქალაქო წესით ასაფლავებენ.

ამხ. ბაბანოვი დასასრულ ეხება საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობას და ამბობს, რომ ყრილობის საქმიან ნიადაგზე დადგომა, ამხ. კამენევის სიტყვა, ცეკას მოხსენებით მიღებული რეზოლიუცია—ყველა ეს მაჩვენებელია იმის, რომ პარტია ახალი ენერგიით და ძლიერებით შეუდგება მორიგ ამოცანების შესრულებას.

ეკონომიური ცხოვრება

ბირჟის საფონდო განყოფილებასთან არსებულ კურსის დამწესებელი კომისიის კურსი.

ოქროს 10 მან. 5,380 ათ. მან.—გირვანქა სტერლ. 3525 ათ. მან.—დოლარი—ჩეკი 740 ათ. მან.—ოსმალური ქაღალ. ლირა 565 ათ. მან.—საბჭოთა ფულის ნიშნები 16 ნახ.

ბირჟის საქონლის განყოფილებაში.

17 მარტს მოხდა შემდეგი მორიგებანი: რუსეთის ასანთი ვოლკოვის და ბერეზინის 8 მან. 90 კაპეიკათ ყუთი. ასანთი „ირაიდა" 10 მან. 10 კ.,-ყუთი. მზესუმზირას ზეთი 2.100.000 მან. ფუთი.

თბილისის ბაზარზე

17 მარტი.

ფასები ხორბალზე და პურის პროდუქტებზე უცვლელია. პურის ბაზარის განწყობილება სუსტია. ფხვნილი შაქრის და შაქარ რაფინადის ფასები უცვლელია. მიწოდება მტკიცეა—მოთხოვნილება სუსტი.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

რუსეთის ასანთი, ფქვილი „ნელსონ", ფქვილი „დურუმ.-გლიბერ". მზესუმზირას ზეთი, ზაქათალის თხილი, ფხვნილი შაქარი, ქვა-მარილი, ყუბანის ფქვილი, ყუბანის ხორბალი, სამუშაო ფეხსაცმელი, ინგლისის შაბიამანი, გოგირდი „ბუდა" და ლურსმანი.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

რუსეთის ფხვნილი შაქარი, ლურსმანი, რუსეთის ასანთი, მზესუმზირას ზეთი, ყუბანის ფქვილი 1-ლი ხარისხის, სახნავ-სათესი იარაღი, ყუბანის ხორბალი.

საზ. „ჩემო"-ში.

კოლექტიურ ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო ფოთის, ბათომის და ჭიათური შავი-ქვის მტვირთველებთა ამა წლის 1 აპრილს, „ჩემო"-ს საზოგადოება შეუდგა ახალ ხელშეკრულებათა გამომუშავებას ძველის საფუძვლებზე.

შავი ქვის მტვირთველ გემების მოძრაობა.

დაფრახტულია და ტვირთის საზიდავათ ივლიან ამა წლის მარტის განმავლობაში გემები:

1. ფედოსია—4500 ტონ. ქ. ემდენში; 2. პავია—4200 ტონ. ქ. მერიპორტში; 3. არქიმედი—7400 ტონ. ქ. როტერდამში; 4. მონკსგავენი—4900 ტონ. ქ. ბულონში; 5. იონია—2000 ტონ. ქ. მარსელში; 6. ალფა—2050 ტონ. ქ. შტეტინში; 7. უნიკონი—4400 ტონ. ქ. მერიპორტში; 8. უესტერმო—1500 ტონ. ქ. ნაუიორკში; 9. სიპრია—3500 ტონ. ქ. გარსტონში.

ამ ჟამად ფოთში იტვირთებიან:

1. მოდიგი—7200 ტონ. ქ. ბულონში ტვირთავს ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოება; 2. ილფორდე—6700 ტონ. ქ. გარსტონში ტვირთავს ფორმეუდისა და სელლარის ფირმა.

ბათომში.

„ჩემო"-ს საზოგადოებამ ბათომში შავი ქვის გახშირებულ ტვირთვის გამო, დაარსა თავისი აგენტურა ბათომში, აგენტათ დანიშნულია ჰ. ს. მანუილიდისი.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში

— **ქალაქის წყალით მომარაგება.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა, წყალსადენის სამმართველოს მიეცეს 3 მილიარდი მან. ქალაქის საზაფხულოთ წყალით მოსამარაგებლად და წყალსადენის გასაუმჯობესებლად.

— **ბინების საკითხი.** პრეზიდიუმმა შეიმუშავა მთელი რიგი გეგმებისა, რომლითაც განზრახულია ბინის საკითხის მოგვარება. განზრახულია მუშათა უბნებში აშენდეს ახალი სახლები მუშებისათვის.

— **ტრამვაი.** პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ტრამვაის დირექციას დაუყოვნებლივ შეუდგეს სათანადო მუშაობას, რათა განახლებული იქნეს ტრამვაის მოძრაობა ყველა მიმართულებით. საჭირო მასალა საზღვარ-გარეთიდან უკვე მიღებულია.

— **კლინიკის გახსნა.** პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა სახ. უნივერსიტეტის შუამდგომლობა ქალაქის მესამე საავადმყოფოსთან კანისა და ვენერიული ავადმყოფობათა კლინიკის დაარსების შესახებ. კლინიკა გაიხსნება ახლო ხანში. შერჩეული პროფესორების ხელმძღვანელობით.

— **მილიციონერების მდგომარეობის გაუმჯობესება.** პრეზიდიუმმა ქ. აღმასკომის სალაროდან გადასდო 4 მილიარდი მან. მილიციონერებისათვის ტანისამოსის შესაძენათ. განზრახულია მათი ნივთიერი გაუმჯობესებაც.

— **ფასი წყალზე.** პრეზიდიუმის დადგენილებით ვედრო წყალზე დაწესებულია ერთი მეოთხედი კაპ. ოქროთი.

— **სატრაქტირო გადასახადი.** მიმდინარე წლის პირველ ნახევრის სატრაქტირო გადასახადი უდრის 50,000 მან. ოქროთი, რომლის ნახევარი დაიხარჯა ქალაქის განაპირა უბნების გასაუმჯობესებლათ.

განათლების კომისარიატში.

— **ცირკულიარული მიწერილობა.** განათლების კომისარიატმა, მუშათა და გლეხთა შორის პროფ.-ტეხნიკურ განათლების სექტორის ქვემდებარე დაწესებულებებს დაუგზავნა შემდეგი ცირკულიარული მიწერილობა: თანახმად განათლების სახ. კომისარის და განათ. მუშათა პროფკავშირის განმარტებისა წინადადება გეძლევათ ჯამაგირების მოთხოვნითი უწყებები თქვენდამი რწმუნებულ დაწესებულებების მოსამსახურეებისათვის, შეადგინოთ მხოლოდ და მხოლოდ განათლების მუშაკთა პროფ.-კავშირთა მიერ განსაზღვრული ნორმის მიხედვით—მიუხედავათ იმისა რომელ კავშირისაც არ უნდა ეკუთვნოდეს მოსამსახურე. უწყებები, რომლებიც აღნიშნულ წესით არ იქნება შედგენილი, არ იქნება დამტკიცებული.

ა. კ. შრომის სახ. კომისარიატში

— **ცირკულიარული მიწერილობა.** ა. კ. შრომის სახ. კომ. რწმ. სამმართველოს კოლეგიამ ყველა შრომის განყოფილებებს და შრომის ინსპექციებს დაუგზავნა ცირკულიარული წერილი რათა 28 თებერვლის დადგენილების თანახმად სამმართველოსა და მის ადგილობრივ ორგანოებში შემოსულ ქაღალდების საღერბო გადასახადით დაბეგვის შესახებ, იხელმძღვანელონ შემდეგით: 1) საღერბო გადასახადისაგან თავისუფლდებიან მომრიგებელ განხილვასთან დაკავშირებული საბუთები, კოლექტიური ხელშეკრულებები და ყველა ქაღალდები, რომლებიც გასატარებელია რეგისტრაციაში დასადასტურებლად. 2) დაბეგრილი უნდა იქნეს 10,000 მანეთიანი მარკის ღირებულებით—დამქირავებელთა მიერ შემოტანილი შუამდგომლობანი, განცხადებანი, თხოვნები, საჩივრები და სხ. 3) მეორე მუხლში აღნიშნულ პირთ რაიმე ცნობის მიცემისათვის თითოეულ ფურცელზე უნდა გადახდეს 10,000 მან. რომლის ანგარიში ცალკე უნდა იქნეს ნაწარმოები, ხოლო შემოსული ფული თითო თვის ბოლოში წარმოედგინოს ა. კ. შრ. სახ. კომ. საქ. რწმ. სამმართ. 4) დანარჩენი პირნი მაგალითად, დაქირავებულნი, შრომის ბირჟაში ჩარიცხული უმუშევრები, პენსიონერები, სახელმწიფოებრივ შეღავათებით მოსარგებლე პირები და სხვ. თავისუფლდებიან აღნიშნულ გადასახადისაგან.

— **უმუშევართა აღრიცხვა.** ა.-კ. შრომის სახ. კომ. რწმუნ. სამმართველოს კოლეგიამ 14 მარტის სხდომაზე დაადგინა: აღრიცხულნი იქნეს ის უმუშევარნი, რომელთაც დაკარგული აქვთ შრომის უნარი 5 პროც. წინადადება მიეცეს შრომის ბირჟას ეს საკითხი შეთანხმებით განიხილოს სოციალურ დაზღევის განყოფილებისთან.

— **წარმომადგენლის დანიშვნა შრომის ბირჟაში.** ამავე კოლეგიის დადგენილებით კომისარიატის წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. ჯაიანი, რომელსაც ევალება გაუწიოს ზედამხედველობა იმ დაწესებულებებს და წარმოებებს, რომლებიც მუშა-მოსამსახურეებს მიიღებენ შრომის ბირჟის გარეშე.

— **სიღნაღის შრომის ინსპექტორის დანიშვნა.** სიღნაღის სამაზრო აღმასკომის სამაზრო შრომის ინსპექტორად დაინიშნა ამხ. ბუდაღიანი.

— **აჭარის შრომის დაცვის განყოფილების შუამდგომლობა.** აჭარის შრომის დაცვის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა სამმართველოს წინაშე, რათა მის განკარგულებაში გადადებული იქნეს სათანადო თანხა ხარჯების დასაფარავათ. სამმართ. კოლეგიამ დაადგინა, წინადადება მიეცეს აჭარის შრომის განყოფილებას რათა ხსენებული ხარჯები დაფარული იქნეს 1922 წ. შემოსულ ტვირთზიდვის ხარკის შემოსულ თანხიდან.

— **სასინჯ ხელსაწყოების შეძენა.** ამავე სხდომაზე კოლეგიამ დაადგინა საორთქლო ქვაბების გასასინჯად შეიძინოს საჭირო იარაღები, რისთვისაც წინადადება მიეცა შრომის დაცვის განყოფილებს, შეიმუშაოს სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა და იშუამდგომლოს ა. კ. შრომის კომისარიატის წინაშე თანხის აღების შესახებ.

— **არტელების აღრიცხვა.** წინადადება მიეცა არტელების ბიუროს, რათა მოახდინოს იმ არტელების აღრიცხვა, რომლებსაც აარსებენ შინამრეწველნი, რომელიც უნდა გატარდეს ბირჟის საშუალებით.

დამზღვევ კასაში.

დაღუპულ მფრინავების ოჯახებისათვის პენსიის დანიშვნა. ტფილისში საცდელ ფრენის დროს სამი მფრინავის დაღუპვის გამო, ამ ნაწილის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა დამზღვევი კასის წინაშე, რათა დაღუპულ მფრინავთა ოჯახებს დაენიშნოს პენსია.

— **საექიმო პუნქტი ავჭალაში.** დამზღვევ კასის გამგეობამ დაადგინა გახსნას საექიმო პუნქტი და ამბულატორია ზემო-ავჭალაში ჰიდრო ელექტრონის სადგურის მუშებისათვის.

სხვა და სხვა.

მინდვრის თაგვები. საქართველოს სხვადასხვა ადგილას საგრძნობლად გამრავლდა მინდვრის თაგვები, რაც საფრთხეს უქადებს სასოფლო მეურნეობას. უმთავრესათ თაგვები გაჩენილია შემდეგ მაზრებში: სიღნაღში (80.000 დესიატინაზე), გორში (20.000 დეს.), თელავში, ბორჩალოში და დუშეთში. საჭიროა ენერგიული ზომები მათ მოსასპობათ (ქიმიური წესით), რათა გლეხი უზრუნველყოფილი იქნეს მოსავალის განადგურებისაგან.

— **სრულიად რუსეთის გამოფენის კომიტეტის განყოფილება ტფილისში.** იანვრის პირველ რიცხვებიდან ტფილისში დაიწყო მუშაობა სრულიად რუსეთის გამოფენის კომიტეტის გან-

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

ერევანი. 16 მარტი. სასკოლო საქმე. შენობების უქონლობის გამო, ლამოს მეცადინეობა სწარმოებს ოლოთ 6 სკოლაში. განათლების განყოფილებამ გამოიმუშავა სკოლის შენობათა რემონტის და მათი ახლათ აგების პროექტი, რაც დაიწყება სამოსწავლო წლის დასრულებისას. მიმდინარე წელს რემონტი გაუკეთეს და შუშები ჩაუჯინეს 30 პროც. შენობებისას. ამჟამად განიცდიან 300 პარტის და 100 დაფის ნაკლებობას. მაზრებში მეცადინეობა სწარმოებს პირველყოფილ პირობებში, რის გამო ყველა სკოლებთან არსდება მათთვის მატერიალურ და სხვა დახმარებათა აღმოსაჩენათ მშობელთა წრეები. მეორე საფეხურის სკოლებთან არსდება ფიზიკური და ქიმიური ლაბორატორიები. დაარსებულია სამეცნიერო-სალიტერატურო სექციები, სასკოლო სასამართლოები, სანიტარული სექციები და სხვა.

მორწყვის საქმის აღდგენა. მორწყვის სისტემის შესაქმნელად ბამბის მოსაწევ რაიონებში მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატისაგან გაგზავნილია სპეციალისტები ეჩმიაძინის, კურდუკულინის და კამარლინის რაიონებში. გამოირკვა, რომ მორწყვის სისტემა 60 პროც. უვარგისი გამოდგა.

სომხური დივიზიის პარტიული კონფერენცია. ერევანში დასრულდა სომხური დივიზიის პარტიული კონფერენცია.

სიფილისი. სიფილისით დაავადებულთა რიცხვი საამბულატორიო დახმარების ცნობით აღწევს 20.000 ნამდვილათ-კი მათი რიცხვი ბევრათ მეტია, რადგან ბევრი მათგანი არ ექიმობს სხვა და სხვა. სნეულებათა წინააღმდეგ მებრძოლ წრეებში განზრახულია ახლო მომავალში დაიწყონ ბრძოლა სიფილისის წინააღმდეგ.

შირაქის არხი.

შირაქის არხის მმართველობა შეუთანხმდა საზოგადოება „ატლას დიზელ"-ს მექანიურ ძალით გვირაბის გაყვანის შესახებ პირობისამებრ ერთი თვის განმავლობაში მანქანები უნდა მიტანილ იქნას ადგილზე და მუშაობაც უნდა დაიწყოს.

პარტიული ცხოვრება

ფოთი

ქალ. ფოთის ნავთსადგურის გადამტვირთველთა პროფ-კავშირში პარტიული მუშაობა სასურველ ნიადაგზე დგას. პარტიის წევრთა რაოდენობა 100 ამხ. აღემატება; იაჩეიკის მორიგი კრება ხდება კვირაში ერთხელ, სადაც ამხ. გოგია მართავს საუბრებს სხვა და სხვა თემაზე. ფრაქციის ბიურო შესდგება ხუთი ამხანაგისაგან. ბიურო იკრიბება ყოველ კვირაში ერთხელ, ის არჩევს სხვა და სხვა საორგანიზაციო კითხვებს. ამასთან კვირაში ერთხელ უპარტიო მუშების კრებაზე იკითხება ლექციები სხვა და სხვა თემაზე. ზემოხსენებულ კავშირის პარტიულმა ამხანაგებმა ერთი დღის ნამუშევარი შესწირეს წითელ ფლოტს. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში უფრო გაღრმავდება პარტიული მუშაობა ჩვენს კავშირში.

მუშა **კალანდაძე.**

ოზურგეთის მაზრა

(მუშაობა თებერვალში)

მაზრის ორგანიზაციაში შედის 36 თემკომი. დისციპლინა და მუშაობის ინტენსიურობა საშუალოა. საანგარიშო თვეში შესდგა პარტკონფერენცია 4. მუშაობის საწარმოებლად, შედარებით სუსტ ორგანიზაციებზე მიმაგრებულია პასუხისმგებელი პარტამხანაგები. ცეკასაგან მიღებულია ცირკულიარი 3. რომლებიც სათანადოთ იქნა გატარებული ცხოვრებაში. ორგანიზაციაში არსებობს სამეცადინო წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მომზადებული ამხანაგები. კავშირი ადგილებთან სამაზკომს მოგვარებული აქვს.

სააგიტაციო საპროპაგანდო მუშაობის მხრივ სწარმოებს შემდეგი: აღდგენილია რამოდენიმე სამკითხველო, გამოწერილია გაზეთები. გაზეთები ეგზავნება წითელ-ჯარის ნაწილებსაც. იმავე სამაზრო პარტკომის მიერ სწარმოებს ლექციების კითხვა საპროგრამო, ფინანსიურ და პოლიტიკურ კითხვებზე, ჩატარებულია რამდენიმე კამპანია. მათ შორის აღსანიშნავია ანტი-რელიგიური, რომელმაც უპარტიო გლეხთა მასსა ძალიან დააინტერესა. იმავე მასის სურვილის თანახმად, ქ. ოზურგეთში ეკლესია გადაკეთებულ იქნა კლუბათ.

საგულისხმოა აგრეთვე, რომ პოლიტიკური სამეცადინო წრეებში მონაწილეობას ღებულობენ უპარტიოებიც, როგორც მამაკაცები, აგრეთვე ქალებიც.

მიუხედავათ წრის შემადგენლობის ასეთი სიდიდისა, დასწრება მეცადინეობაზე მაინც დამაკმაყოფილებელია. უპარტიო მასსაში მუშაობა გამოიხატება ლექციებისა, მიტინგებისა და და კრებების მოწყობაში.

მაზრაში არსებობს რამოდენიმე უპარტიო ქალთა წრე, რომლებში მუშაობას ხელმძღვანელობენ ქალთა ინსტრუქტორები; უკანასკნელნი მუშაობენ იმავე მხრით პროფესიონალურ სკოლებშიაც.

კომკავშირსა—და კომპარტიის შორის არსებობს მტკიცე კავშირი. პირველის წევრები ესწრებიან კომუჯრედების სხდომებს. პარტია უწევს ყოველგვარ დახმარებას კომკავშირს. ყოველივე კითხვები წყდება თანხმობით.

პროფკავშირები სრულად კომუნისტების ხელშია. მთელი მუშაობა მიმდინარეობს კომპარტიის ძლიერი გავლენისა და ხელმძღვანელობის ქვეშ.

ესევე საბჭოთა აღმშენებლობის დარგშიაც. მაზრაღმასკომი და პარტკომი მუშაობენ სრული კონტაქტით. უკანასკნელი ხელმძღვანელობს პირველის მუშაობას. არსებობს მათ შორის მჭიდრო კავშირი.

ყველა თემებში მოხდა კოოპერატივების გამგეობათა ხელახალი არჩევნები, სადაც გავიდნენ თითქმის ყველა კომუნისტები.

სწარმოებს პოლიტმუშაობა წითელჯარის ნაწილებს შორის, უკანასკნელს პარტია აწვდის ლიტერატურას—წიგნებს, ბროშიურებს და სხვ.

ი. შ.

მუშათა ცხოვრება

ამხ. მუშა-კორესპონდენტებს.

კვირას, 18 მარტს, საღამოს 6 საათზე, ჩვენი რედაქციის შენობაში (კრუზენშტერნის ქუჩა, № 4)

დანიშნული

გაზეთ „კომუნისტი“-ს თანამშრომელ მუშა-კორესპონდენტების

მორიგი კრება.

ყველა მუშა-კორესპონდენტებისთვის სავალდებულოა აღნიშნულ კრებაზე დასწრება, დანიშნულ დროზე დაუგვიანებლად. სასურველია აგრეთვე თანამგრძნობ მუშების დასწრება.

მუშა-კორესპონდენტის მოვალეობის და ზნეობრივ სიწმინდეების შესახებ

მუშა-კორესპონდენტი უნდა იყოს მუშის მეგობარი, მისი ინტერესების გამომხატველი, შუამდგომელი და მცველი, ვექილი და დამრიგებელი. ის უნდა იყოს სპეტაკი, გულახდილი თავის წერილებში და სავსებით მიუდგომელი ფაქტების გაშუქებაში. მას არ უნდა იტაცებდენ უმნიშვნელო წვრილმანი მოვლენები ცხოვრებაში.—მუშა-კორესპონდენტი აღნუსხავს ტიპიურ, უფრო მნიშვნელოვან ფაქტების დადებით, ან უარყოფით მხარეებს. ის იწონებს და აქებს ყველა კეთილ და სასარგებლო ნაბიჯებს თავისი ადმინისტრაციისა საერთოდ და თავის ადმინისტრატორებისა კერძოდ, ატიტვლებს, ააშკარავებს, ჰკიცხავს და აქვეყნებს იმ პირთ, რომელნიც ჩირქს სცხებენ და ამცირებენ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების პრესტიჟს, აკრიტიკებს და ებრძვის თავის დაწესებულების წრეს გადასულ ბიუროკრატიზმსა და ფორმალიზმს, სასტიკათ კიცხავს ადმინისტრაციის მხრივ უსამართლო და მოუხეშავ მოპყრობას მუშებისადმი; აღვიძებს მუშათა მასებში ცოცხალ ინტერესს ბეჭვდითი სიტყვისადმი, ხელმძღვანელობს ადგილობრივ კულტურულ საქმეებს, თვალყურს ადევნებს მუშათა შორის შრომისა და პროფესიონალურ დისციპლინას, აჩვევს მათ თვითმოქმედებას, მოქალაქობრივ პატიოსნებას, გულწრფელობას და სამართლიანობას.

მუშათა პრესა მოითხოვს მუშათა კორესპონდენტების მხრივ სერიოზულ და დაფიქრებულ საქმიანობას. მუშათა კორესპონდენტი უნდა ეცადოს მიაწოდოს პრესას სრულიად საფუძვლიანი და ფაქტებზე დამყარებული მასალა და არ გაეპაროს ისეთი რამ, რაც ნათლად არ აქვს გამორკვეული და რაც ატარებს პროვოკაციის ხასიათს. ის სწერს იმის შესახებ, რაც ნამდვილად მოხდა და აღნიშნავს გარკვევით მომხდარ ამბის ადგილსა და დროს, აჩვენებს იმ პირობებს, რომელშიდაც მოხდა ესა თუ ის ამბავი. მუშა კორესპოდენტს ყოველთვის უნდა ჰყავდეს მხედველობაში მოწმეები, რომელნიც, თუ საჭირო იქნება, დაადასტურებენ მის მიერ მოწოდებულ მასალას. წერილში უნდა იყვეს აღნიშნული, თუ როგორ უყურებენ მუშები მომხდარ ამბავს. წერილებში უნდა აღიბეჭდოს, როგორც სარკეში, ყველაფერი ის, რაც ხდება მუშათა ორგანიზაციებში. წერილი უნდა იწერებოდეს მელნით თავისუფალ ადგილების დატოვებით ფურცლის მარჯვენა მხარეზე და სტრიქონებს შორის, სარედაქციო შესწორებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ასოთამწყობთ უძნელდებათ აწყობა და რედაქციას—მასალის შესწორება. მუშათა კორესპოდენტები არიან გაზეთის გამავრცელებელნი მუშათა შორის. ამ მიზნით ისინი კრებენ გაზეთზე კოლექტიურ ხელის მომწერლებს, ხშირად შემოდიან რედაქციაში, რათა გაბმული იყვეს მუდმივი კავშირი რედაქციასა და მუშათა მასებ შორის; თავის დროზე, დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ რედაქციას ყველაფერი ის, რაც ხდება მუშათა ცხოვრებაში. მუშათა კორესპოდენტების ამოცანას შეადგენს აგრეთვე ხელი შეუწყონ ადგილობრივ მუშათა მწერლობის შექმნას და სხვა.

გ. მ.

იურიდიული დახმარება

ამხ. მუშებს.

კითხვა: როგორ განისაზღვრება გასამრჯელო იმ დროისა, რომელიც დახარჯულია „ნაჭრობით“ შესასრულებელ სამუშაოს მოსამზადებლათ?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევებში გასამრჯელო განისაზღვრება კოლექტიური ან და შრომის ხელშეკრულებით.

კითხვა: შეუძლია თუ არა დაქირავებულს მიიღოს გასამრჯელოს ანგარიშში წინდაწინ, ავანსით, ვიდრე მთლად შეასრულებდეს ის მაზე დაკისრებულ სპეციალურ სამუშაოს?

პასუხი: შეუძლია მიიღოს ავანსები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შეასრულებს აღნიშნულ მუშაობის რამოდენიმე ნაწილს და ჩააბარებს მას ადმინისტრაციას—მას მიეცემა ავანსები ფულის დარიგების ვადებში მისი კატეგორიის სატარიფო განაკვეთის რაოდენობით.

კითხვა: ეძლევა თუ არა მუშას გასამრჯელო ფაქტიურათ გაკეთებული საქმისა იმ შემთხვევაში, როდესაც ის ვერ ასრულებს მაზე დაკისრებულ ნარდათ მიცემულ სამუშაოს?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევაში მუშას ეძლევა გასამრჯელო ფაქტიურათ გაკეთებულ საქმის მიხედვით, მაგრამ არა ნაკლებ მისი სატარიფო განაკვეთის ორი მესამედისა.

კითხვა: ეძლევა თუ არა რაიმე გასამრჯელო დაქირავებულს იმ შემთხვევაში, როდესაც ის სტოვებს შეუსრულებელ სამუშაოს მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო?

პასუხი: ეძლევა გასამრჯელო სამუშაოს შესრულებულ ნაწილისა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის შეფასებით, მიცემულ ავანსების დაჭერით და თუ საკონფლიქტო-შემფასებელი კომისია არ არსებობს და მხარეები ვერ მორიგდებიან, მაშინ დავა სწყდება კონფლიქტის წესით არსებულ შრომის კანონების ფარგლებში.

კითხვა: როგორ და რა რაოდენობით ჯილდოვდებიან ამავე სამუშაოს შესრულებისათვის ის მოზარდნი, რომელნიც დაშვებულია ნარდ სამუშაოზე?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევაში მოზარდნი იღებენ შრომის ხელფასს მოზრდილ მუშებთან სრულებით თანასწორად და ამის გარდა მათ ეძლევა დამატებით ორ საათის ზედმეტ მუშაობისა სატარიფო განაკვეთი მიხედვით—განსაკუთრებული გასამრჯელო.

ს. პ. კ. ს. იურიდიული ბიურო.

ფეიქართა ცხოვრებიდან

(ვორონცოვის ქ. № 118).

ბამბის, ზეთის სახდელ და საპნის სახარშ წარმოების ტრესტმა მოისურვა მუშების შტატის შემცირება. გაიგეს თუ არა ეს განზრახვა, კავშირმა და ფაბკომმა ენერგიულად გაილაშქრეს ამ ზომის წინააღმდეგ და მოსთხოვეს ტრესტს, რომ მიიღოს ყოველგვარი ზომები დასამუშავებელი მასალის მეტი რაოდენობის შესაძენათ და წარმოების გასაფართოებლათ და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან მუშა-მოსამსახურის შტატ გარეშე დატოვება, რაც მათ აყენებს აუტანელ მდგომარეობაში არსებულ ცხოვრების სიძვირის დროს.

ფაბკომის მეცადინეობით ტრესტი უკვე შეუდგა ნედლი მასალის დამზადებას, რას გამო შტატის შემცირებას ადგილი არ ექნება და წარმოებაც გაძლიერდება.

აჭური მუშა—დადო.

მელითონეებში

1923 წ. 10 მარტს შესდგა ლითონის განყოფილების ავტო-სახელოსნოს № 1 და სამმართველოს ქარხნის კომიტეტის სხდომა. დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. სკოლის შესახებ;
2. სამკითხველოს მოწყობა;
3. პროფტექნიკურ კურსების შესახებ.

ლითონის განყოფილების სამმართველოში არსებობს სკოლა, სადაც წერა-კითხვის უცოდინარი მუშები სწავლობენ სომხურ ენას, რიცხვით 27 მუშა. ქარხნის კომიტეტი იღებს რა მხედველობაში, რომ მუშებში არიან მსურველები, მოწადინებულნი სწავლას რუსულ ენაზე, ადგენს: გამოარკვიოს ყველა ქარხანა-სახელოსნოებში უცოდინარ მუშათა რიცხვი, იშუამდგომლოს კავშირის წინაშე, მოეწყოს სკოლასთან რუსულ ენის მოსწავლეთა ჯგუფი.

ქარხნის კომიტეტში მოიპოვება წიგნები, ბროშურები და ჟურნალები და ვინაიდან წიგნთ-საცავისათვის არ მოიპოვება სათანადო ოთახი, მიენდო ქარხნის კომიტეტის პრეზიდიუმს მოსძებნოს სათანადო ბინა სამკითხველოსათვის, ამასთანავე ერთათ მიიღოს კავშირის კულტურ. განყოფილებიდან ლიტერატურა, აგრეთვე რაიონულ ქალაქის სამკითხველოდან. საჭიროდ სთვლის სამკითხველოში სამუდამოდ მიიზიდოს ლითონის განყოფილების მოსამსახურენი, სკოლაში კი მასწავლებლის თანამდებობაზე.

რაც შეეხება პროფ-ტექნიკურ კურსების მოწყობას, ქარხნის კომიტეტის პრეზიდიუმს დაევალა აღძრას მოლაპარაკება კავშირთან პრაქტიკულ კითხვებზე კურსების გახსნის შესახებ.

დროებით კი საზოგადო მუშა-მოსამსახურეთა კრებებზე შეიტანოს დღიურ წესრიგში კითხვები პროფტექნიკურ ხასიათისა. სამუშაოთ მოწვეულ იქნენ ლითონ. განყ. მოსამსახურე ინჟინერები და ტექნიკები.

ინჟ. ელიაშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

მარქსისტულ წრეების მეცადინეობა 1923 წ. 18 მარტიდან 24 მარტამდე.

— კვირა, 18 მარტს, 11 საათზე ამიერ-კავკასიის საგან. კომის. წრე. ხელმძღვანელი გალკინი.

— სამშაბათი, 20 მარტს და შაბათს 24 მარტს ტფილ. მაზრ. საგან. დანიშნულების ნაწილების წრე ტფილისის კომიტეტის შენობაში 5 საათიდან 7 საათამდე. ხელმძღვანელი გალკინი.

— ოთხშაბათი, 21 მარტს საღამოს 7 საათზე „სკოლის გარეშე მყოფთა სახლი“-ს წრე. ხელმძღვანელი პენიაკოვი.

— ოთხშაბათს, 21 მარტს და შაბათს 24 მარტს 6 საათიდან 8 საათამდე მბეჭდავთა წრე. ხელმძღვანელი მედვედიევი.

— შაბათი 24 მარტს 6 საათზე საღამოს პარტიული ცენტრალური შკოლის შენობაში სტუდენტთა წრე. ხელმძღვანელი ნოვიკოვი.

ს. კ. პ. ტ. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

— საქართველოს კომუნისტურ პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ ახალი პარტიული ბილეთები, გამოცხადდენ რაიკომში ცნობების მოსაწოდებლათ და პარტიულ ბილეთების მისაღებათ შემდეგ ვადებში: პარასკევს—16 მარტს, შაბათს—17 მარტს და კვირას—18 მარტს. დღის 12-დან—3 საათამდე და საღამოს 6-დან—9 საათამდე. გამოცხადება ევალებათ პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომლებსაც სრულებით არ მიუღიათ პარტიული ბილეთები და აგრეთვე პარტიის იმ წევრთ, რომლებიც მიღებული აქვთ დროებითი საწევრო ბილეთები. ყველა ის წევრები, რომლებიც არ გამოცხადდებიან ზემოხსენებულ ვადებში, იძულებული იქნებიან იზრუნონ პარტიულ ბილეთების მისაღებათ უმაღლეს პარტორგანიზაციების საშუალებით.

საორგანიზაციო განყოფილების გამგე
აკოპოვი.

სააღრიცხვო ნაწილის გამგე
კორეივა.

პროფესიონალური

— კვირას, 18 მარტს პოლონეთის მუშათა კლუბში (ნიკოლ. ქ. № 59) პარიზის კომუნის 52 წლის თავის აღსანიშნავათ გაიმართება მოხსენება: მოხსენებას წაიკითხავს ამხ. გალკინი.

მოხსენების შემდეგ დაიდგმება პიესები: 1. „პროლეტარი ქალი“, 2. „წითელი გენერალი“, რასაც მოჰყვება საკონცერტო განყოფილება.

დასწრება შეუძლიათ პროფესიონალურ ორგანიზაციების წევრებს.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

— საქართველოს კომ. პარტიის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. გარიბჯანიანცს სამი დღის განმავლობაში წარმოადგინოს მისგან წაღებული წიგნები სარელიგიო კითხვებზე.

ყოფილებამ. ხარჯთ-აღრიცხვა — 207,000 მანეთი ოქროთი, დამტკიცებულია სახალხო კომისართა საბჭოს მიერ. ჯერ-ჯერობით განყოფილება არ აწარმოებს ფართე ოპერაციებს იმ მიზეზით, რომ ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან ჯერ-ჯერობით არ არის მიღებული აღნიშნული თანხა.

განყოფილებამ თვისი ქვე-განყოფილება მოაწყო ბათომში.

ხელოვნება

— **უკანასკნელი გასტროლი ძმ. ადელჰეიმების.** დღეს, რუსული დრამის პატარა თეატრში შესდგება უკანასკნელი გასტროლი ძმ. ადელჰეიმების. წარმოდგენილი იქნება „რევიზორი“.

— **ოტელო ეკრანზე.** რამდენიმე დღეა ტფილისში, სარკის კინოში მიდის სურათი „ოტელო“. სურათი გადიდებულია ეკრანის უკანასკნელ მიღწევებით, რომელშიდაც მონაწილეობს 3000 კაცი. „ოტელოს“ როლს ასრულებს იტალიელი მსახ. კრაუსი.

— **ფუტურისტების საღამო.** პარასკევს, 23 მარტს, 1-ლ სახ. კონსერვატორიაში გაიმართება ქართველ ახალგაზრდა ფუტურისტების პირველი საღამო ფართე შინაარსით.

— **„ვეფხის ტყაოსანი“ ფრანგულათ.** პოეტმა ქალმა ორბელიანმა გადათარგმნა ფრანგულათ შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი“ ლექსათ.

— **მსახიობ ა. ინაშვილის გაგზავნა იტალიაში.** სახელმწიფო ოპერის მსახიობს ა. ინაშვილს სახ. განათლების კომისარიატი გზავნის იტალიაში უმაღლესი ვოკალური ცოდნის მისაღებად. ახლო ხანში სახელმწიფო ოპერაში გაიმართება მისი გამოსამშვიდობებელი ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება „ტოსკა“ და ერთი მოქმედება „აბესალომ და ეთერიდან“.

— **წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით.** სამშაბათს მარტის 20, რუსთველის თეატრში გაიმართება საღამო სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა „საისტორიო-სალიტერატურო“ წრის სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქნება ოსკარ უაილდის „სალომეა“ და შანშიაშვილის „როდამ“.

— **სახელმწიფო ოპერა.** სამშაბათს 20 მარტს, ბენეფისი ლ. ნ. ისეცკისა დადგმული იქნება ქართული ენაზე „ლალატი“ 1 და 2 აქტი, გუგენოტები—მე 4 აქტი და თავადი იგორი.

პროფკავშირებში

განათლების მუშაკთა პროფკავშირში.

ჟურნალის გამოცემის საკითხი.

განათლების მუშაკთა ცენტრ. პროფკავშირის პლენუმის სხდომამ გაარჩია ჟურნალის გამოცემის საკითხი და დაადგინა მისცეს წინადადება კულტ-განყოფილებას, რათა უკანასკნელი სასწრაფოდ შეუდგეს პროფესიონალური პედაგოგიურ ჟურნალის გამოცემას.

განათლების ფრონტის კომპანიის შესახებ.

იმავე პლენუმმა მიანდო პრეზიდიუმს ჩაატაროს პრესაში კომპანია ბეჭდვითი საქმის მუშაკთა სექციასთან ერთად განათლების ფრონტის განმტკიცების მიზნით.

პლენუმის სხდომები.

პლენუმის სხდომა გაიმართება ორ კვირაში ერთხელ ხუთშაბათობით, საღამოს 7 საათზე.

ქიმიკოსთა კავშირში.

უმუშევართა რაოდენობა.

კავშირში პირველ მარტამდე ირიცხებოდა 82 უმუშევარი, მათ შორის 58 მამაკაცი და 24 დედა-კაცი. თებერვლის განმავლობაში უმუშევართ დახმარების სახით მიეცა კავშირის თანხიდან 7.350.000 მანეთი და მუშათა მთლიან კოოპერატივს უმუშევრებზე გაცემულ პურის საფასურში—23.000.000 მ.

კულტ-მუშაობა.

ქიმიკოსთა-კავშირმა მოაწყო ოთხი სკოლა: სამი წერა-კითხვის სკოლა—ორი სომხურ და ერთი ქართულ ენაზე. სომხურ სკოლებში იმყოფება 28 მოწაფე, ქართულში—23 მოწაფე.

ავჭალის შუშის ქარხანასთან მუშაობს ორი დრამატიული წრე—ქართული და რუსული; აგრეთვე მოწყობილია კლუბი-თეატრი და სასკოლო მეცადინეობა რუსულ და სომხურ ენებზე.

სასოფლო მეურნეობა

მიწად-მოქმედების კომისარიატში

კახეთში ვენახების აღმდგენ კომისიის მუშაობა.

პრაქტიკულ სკოლის მოწყობა თელავში.

ვენახების აღმდგენ კომისიამ მიიღო რა მხედველობაში, რომ ფილოქსერისაგან განსაკუთრებით დაზარალებულია თელავის მაზრა, დაადგინა, მევენახეობის პრაქტიკული სკოლა პირველ ყოვლისა დაარსდეს კონდოლში და მუკუზანში, შემდეგ კი კარდანახში და ყვარელში. სკოლის კურსი ერთი წლიანი იქნება. მიიღებიან 14—18 წლის მოწაფენი.

კოოპერატიულ ამხანაგობების დაარსება კახეთში.

იმავე კომისიამ მიიღო რა მხედველობაში, რომ მევენახეობის აღორძინებისთვის აუცილებელია მევენახეთა კოლექტიური ან კოოპერატიული თანამშრომლობა, დაადგინა ხელი შეუწყოს კახეთში მევენახეთა სოფლურ და რაიონულ კავშირების მოწყობას. ასეთ ამხანაგობების მოწყობის ინიციატივა მიწადმოქმედების კომისარიატისაგან უნდა გამომდინარეობდეს.

კახეთში მევენახეობის საცდელ სადგურის დაარსება.

იმავე კომისიამ განიხილა კახელ მევენახეთა ყრილობის მიერ მიღებული პროექტი კახეთში მევენახეობის საცდელი სადგურის დაარსების შესახებ და დაადგინა: წარმოდგენილი პროექტი მიღებულ იქნას შემდეგი დამატებით: 1) სამუშაო ბაზად ჯერ-ჯერობით არჩეულ იქნეს ერთ-ერთი სახალხო მამულთაგანი. 2) გაიგზავნოს საგანგებო კომისია ინჟინერთან ერთად ჭავჭავაძისეულ მამულის დასათვალიერებლად და მცირე ხანში შემუშავებულ იქნას სადგურის შტატები.

კახეთის ნიადაგის გამოკვლევა და ნიადაგის რუკის შედგენა.

კომისიამ დაადგინა დაიწყოს და სამი წლის განმავლობაში დასრულებულ იქნას კახეთის ნიადაგის გამოკვლევა და ნიადაგის სრული რუკის შედგენა. აგრეთვე შედგენილ იქნას ხარჯთ-აღრიცხვა მუშაობის ჩასრულებლად.

მამულების მთლიანობის დაცვა.

კახეთში ვენახების აღმდგენ კომისიის თათბირმა მიზანშეწონილად იცნო, რომ სხვადასხვა მეურნეობის დარგში სამაგალითოდ მოწყობილი მამულები აგრარულ რეფორმის გატარების მსვლელობაში არ იქნენ დაყოფილი ნაწილებად, არამედ დაცულ იქნეს მათი მთლიანობა სასოფლო-მეურნეობის ინტერესებისათვის.

დროებით კურსები ვაზის მყნობის შესასწავლად კახეთში.

მიწადმოქმედების კომისარიატის მელვინეობის ქვე-განყოფილება ვაზის მყნობის შესასწავლად აწყობს ორკვირიან კურსებს ამერიკულ ვაზის შემდეგ სანერგეებში: იყალთოში 10 მოწაფისათვის, ჩუმლაყში 15 კაცისათვის, კონდოლში 10 კაცისათვის, ალაიანში 10 კაცისათვის; ამ კურსების შესანახი ხარჯი მიწად-მოქმედების განყოფილების მიერ შეტანილია მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

ვენახების საჩვენებელი ნაკვეთები.

იმავე ქვეგანყოფილება ამ ზაფხულში აწყობს 27 ვენახის ნაკვეთს შემდეგ ადგილებში: ჩუმლაყში—10 ნაკვეთი; იყალთოში 5 ნაკვეთი, კონდოლში—10; ალაიანში 2;

ამერიკულ ვაზის მიცემა სახელმწიფო სანერგეებიდან.

მევენახეობის და მელვინეობის ქვეგანყოფილებამ რაჭის აგრონომიულ განყოფილების საცდელ მინდორს მისცა 3.000 ცალი ვაზის ლერწი და გიურ-არხის სახალხო მამულს 5.000

ამერიკულ ვაზების გასაშენებლად საფონდო მამულების გაცემა.

ვენახების აღმდგენ კომისიის მიერ შემუშავებული დებულებანი ამერიკულ ვაზის გასაშენებლად შეღავათიან და გრძელ ვადიან პირობებში საფონდო მამულების გაცემის შესახებ სახალხო კომისარის მიერ დამტკიცებულია.

მევენახეთა კომიტეტის დაარსების პროექტი.

ვენახების აღმდგენი კომისია შეუდგა მევენახეთა კომიტეტის დაარსების პროექტის შემუშავებას.

პროვინციაში

25 თებერვალი სალხინოს და კიწიხ თემებში (სენაკის მაზრაში)

25 თებერვალი მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა დასახელებულ თემებში, ამ დღეს სწორედ ბუნებამაც ხელი შეუწყო. ცა ლამაზად მოწმენდილია—მზემ თავისი სხივებით ამაყად ამოანათა და ხელი შეუწყო სოფლის მშრომელებს, რომ მათ მხურვალე მონაწილეობა მიეღოთ თავისი განთავისუფლების დღესასწაულში. აბლოს—სამხრეთისაკენ ლამაზად გადაჰყურებენ თოვლიანი მთები ეგრისს და სალხინოს თემებს, აქ კი მთის კალთასთან მდებარე სოფლები ხარობენ.

სოფლის სკოლები გალამაზებულია და მორთული სხვადასხვა ფოთლებით, სურათებით და წითელი დროშებით. აგერ სოფლის მასწავლებელიც მოდის, რომელიც წინ მიუძღვის საბავშო დილაზე მიმავალ მოწაფეებს, მათ პაწაწა ხელებში პაწაწა წითელი დროშა უჭავიათ და ლამაზად მოიმღერიან; აგერ სოფლებიდანაც, როგორც ცალ-ცალკე, ისე ჯგუფებით გამოდიან დაკოჭრებული ხელის პატრონნი სოფლის მუშები და მიიჩქარიან მიტინგზე. ყველას ეტყობა სიხარული, ალტაცება. ყველგან დროშები, ყველგან მშვენივრად მორთული დაწესებულებები, სიმღერა და რევოლიუციონური ყიჟინა, აი რა ახასიათებს ამ ისტორიულ დღეს ხსენებული თემებში.

უკვე საათის ორი-სამისთვის დასახელებულ ადგილას თავს იყრის ზღვა ხალხისა. იხსნება მიტინგი, სადაც გამოდიან ჩვენი პროვინციელი ორატორები, რომლებიც გასაგებ ენაზე უხსნიან საზოგადოებას დღევანდელი დღის დიდი მნიშვნელობას, ახასიათებენ საერთაშორისო მდგომარეობას, აღნიშნავენ მენშევიკური მთავრობის მოღალატური პოლიტიკას სამი წლის განმავლობაში და ბოლოს ხაზს უსვამენ საბჭოთა მთავრობის საქმიან მოქმედებას, მის სიმტკიცეს და სხვა, რის შემდეგ ყველგან გამოაქვთ შესაფერი რეზოლიუციები.

დიდი ყურადღების ღირსია აგრეთვე ის, რომ ხალხი თანდათანობით ერკვევა და თავს ახწევს იმ ცრუმორწმუნეობას, რომელსაც თავს ახვევდნენ ჯერ კიდევ პატარაობიდანვე მშრომელ ხალხს „ღვთის მონა-მორჩილი—წმინდა მამები“. ამ დიადი დღესასწაულისათვის უკანვე ჩამოვიდნენ ის ჩვენი წარმომადგენლები, რომლებიც თემებიდან იყვნენ გაგზავნილი ქუთაისში იქ „წმინდა დავით და კონსტანტინეს“ ნაწილის გახსნაზე დასასწრებლი დელეგატები, ისარგებლეს რა მათ ფართე საზოგადოების მოგროვებით, გამოვიდნენ მოხსენებით „ნაწილის“ გახსნის შესახებ, და როდესაც მათ თავიანთი მუშური ენით აუხსნეს ხალხს ყველაფერი, რაც მათ ნახეს ნაწილების გახსნის დროს, ხალხი განცვიფრებაში მოვიდა და დარწმუნდა, რომ სამღვდელოების მოქმედება, მათი ლოცვა და კურთხევა აგებულია სიცრუეზე, ს ყალბეზე და მშრომელი ხალხის ჩაგვრა-მონობაზე. აქვე მოითხოვა ხალხმა ზიზღის გამოცხადება სამღვდელოებისათვის.

ზოგ თემებმა გამოიტანეს რეზოლიუციები, სადაც სასტიკად გმობენ სამღვდელოების საქციელს, მათ გაიძვერობას და უცხადებენ მათ ზიზღს, მოითხოვენ აგრეთვე სამღვდელოების ეკლესიებიდან გაძევებას და ეკლესიების მოხმარებას საზოგადოებისათვის. ამ მხრივ კიდევაც არის ბევრი რამ გაკეთებული და ხალხის სურვილი და მათი დადგენილება სისრულეში მოყვანილი. მთელი რიგი ეკლესიებისა ხალხის მოთხოვნით დახურული არის. ასეთებს იყენებენ სკოლებისა და სხვა საჭიროებისათვის და მასთან ერთად მთელი რიგი მღვდლებისამ მიატოვა სამსახური „ღვთისადმი“, გადააგდო წყეული ანაფორა და შეუდგა თავისივე ხელით და ოფლით პურის მოპოებას. ეს პროცესი, პროცესი სამღვდელოების დაშლისა ძალიან ჩქარის ტემპით მიდის.

არავითარი ძალის დატანებას ხელისუფლების მხრით არა აქვს ადგილი, არამედ ეს არის მშრომელთა დიდი უმრავლესობის ნებისყოფა და ის კიდევაც ტარდება ცხოვრებაში. ეკლესიების დახურვას ხალხის დიდი უმრავლესობა აღფრთოვანებით ეგებება.

მიტინგის გათავების შემდეგ ხალხი სიმღერასა და ცეკვა-თამაშში ატარებს დროს. საღამოს, ზოგ თემებში იმართება უფასო წარმოდგენები. აქაც აურაცხელი ხალხი ესწრება.

ი. გულორდავა.

განცხადებები

16 მარტს, დილით ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნინო ილიას ასული

ბაქრაძისა

რასაც ულრმეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მეუღლე თედო ბაქრაძე და დაობლებული შვილები ელენე ბერიშვილისა, მიტო და ვერა. გამოსვენება 18 მარტს, კვირას, დილის 10 საათზე, ბინიდან საუფლისწულო (უდელნაია) ქუჩ. № 8, ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა იმავ დღეს ნიკოლოზის სასაფლაოზედ.

351—2—2

გულდათუთქულნი მშობლები მარიამ სოლომონის ასული და ბესარიონ მიხეილის ძე, დები ნინა და ეთერი ცაგურიები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს უდროვოთ გარდაცვალებას პირველთა ქალის და მეორენის დის

თინათინის (ქუჩუჩია)

სოფ. გურძემი სენაკის მაზრა. № 355 1—1

რუსთაველის
თეატრი
კრ. 263—1—1

დღეს 18 მარტს,
ორი ჯიბგირი
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახელმწიფო
ოპერა
კრ. 261—1—1

დღეს, 18 მარტს, ბენეფისი ხოროსი.
სნეგუროჩკა
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო

ამით ქვეყნად აცნობებს ამიერ-კავკასიის ცალკე სახალხო კომისარიატებს და დაწესებულებებს საყურადღებოდ, რომ

ტვირთების ნისიათ გადაზიდვა

წარმოებული იქნება მხოლოდ სახელმწიფო ბანკში მიმდინარე ანგარიშის უზრუნველყოფით და მის გამო არ იქნება დადებული ცალკე შეთანხმება და ხელშეკრულება.

კრ. 259—3—1

გაზ. „ГУДОК ЗАКАВКАЗЬЯ“-ს რედაქციის კონტორა

აცხადებს, რომ 18 მარტიდან გაზეთში ყოველდღე დაიბეჭდება **ხაზ. ტფილისში მიღებულ ტვირთების სია** ღანართის №-ის, გამომგზავნი სადგურის და მიმღების გვარის აღნიშვნით.

კრ. 260 1—1

რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო

(ყოფ. მიხეილის)

აცხადებს, რომ 26 მარტს, დილის 11 საათზე, საავადმყოფოს შენობაში

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ძველი რკინის საწოლების

(200-დე),

რომელთა ნაწილი შეკეთების შემდეგ გამოდგება ხმარებისათვის, და სხვადასხვა რკინეულობის გასაყიდათ.

გასაყიდ ნივთების დათვალიერება შეიძლება ყოველდღე დილ. 9-დან დღის 3 საათამდე. ამავე დროს საავადმყოფოს კანტორაში მიიღება ყოველივე ცნობები საჯარო ვაჭრობის შესახებ.

საჯარო ვაჭრობა უკანასკნელია.

კრ. 262—1—1

კვირას, 18 მარტს, კომისარიატთა სახლში (ყოფ. კადეტთა კორპუ

მოხდება

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება: ფანჯრების ჩარჩოები (რამები), კარები, ლარ მები, თუჯის ქვაბები, ფუთგის და თუჯის ვა ნები, ვანის კოლონა, ელექტრო-მოტორი 30 ძალისა, ინსტრუმენტის ფ ლადი და სხვა.

ვაჭრობა დაიწყება დღის 12 საათზე.

შესასვლელი კადეტის ქუჩიდან. 354—1—1

აღმასკომის გადასახადთა ბიურო

ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, 20 მარტს, შუადღის 12 საათზე,

დანიშნული

ზეპირი

საჯარო ვაჭრობა

ქვემოთ-ჩამოთვლილ ქალაქის სასწორებზე:

1) თათრის მოედნის; 2) დესიმონოვის მოედნის; 3) მუხრანის ბაზრის; 4) ნუნუფაროვის ბაზრის.

ყოველივე პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში.

კრ. 255—5—4 **გადასახადთ ბიურო.**

დოკტორი მედიცინისა ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყ. ფილტვების—ჭლექი და გულის—სპეციალური წამლობ მალარიისა შეშხაპუნება 914 რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობ კაბინეტი.

იღებს 9—12 საათ.—დღის და 5—7 ს. საღ.

ბებუთოვის ქუჩა № 28. (264—25—10)

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდ ეჭიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძ ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (233—25—1

ქ. თბილისის მე-2-ე რაიონის სახალხო მოსამართ

აცხადებს, რომ მას 21 ოქტომბერს 1922 წ. დადგენილებით შესრულებ თვის დამტკიცებულია გარდაცვალებულ ნიკოლოზ ილიას ძე კამაევის დერძი, შედგენილი ქ. თბილისის ნოტარიუს მღებროვთან 18 ივნისს წლის რეესტრით № 3794.

სახალხო მოსამართლე მ. მხეიძე.

356—1—1

დავკარგე ალექსი ბაზლოვის სახელზე გაცემული პასპორ ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე ვლადიმერ იოვანოვიჩის სახელზე გაცემული მე კული ამონაწერი.

დავკარგე პეტროვსკის ქალაქის მილიციის მიერ ანტონინა დრიას ასულის ივაშჩენკოს სახელზე გაცემული მუთები და პირადობის მოწმობა № 855, ჩაითვალოს გაუქმებულად.

327—

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 20 მარტს დღის 12 საათზე ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოში (ვოკზალის ქუჩა № 1) დანიშნულია წერილობითი საჯარო ვაჭრობა 1923 წლის 1 აპრილიდან იჯარით გასაცემად:

1 კლასის ბუფეტების—შემდეგ სადგურებზე: ბათომი, სამტრედია, შორაპანი, ხაშური.

II-ე კლასის ბუფეტების—შემდეგ სადგურებზე: ბათომი, ქობულეთი, სამტრედია, აბაშა, ტყვიბული, ხრესილი, ძირულა, ზესტა, ხაშური, ქარელი, ავჭალა (ბუფეტის კარავი), იორა, ვაზიანი, წნორის-წყალი, თელავი, კარდანახი და ბადიაური.

საჯარო კარვები სადგურებზე: სამტრედია №№ 1, 2 და 3, რიონი № 1, მუხიანი, ხრესილი, ძირულა, მარელისი, სურამი, ქარელი, სუმბატოვო, ტფილისი № 1, ნავთლუღი № 2, კახეთის რკინის გზის ნავთლუღი, ათაგლია, მუკუზანი, ციხის-ძირი.

საპირფარეშოები შემდეგ სადგურებზე: ნატანები, სუფსა, აბაშა, ახალ-სენაკი, საჩხერე, ბორჯომი. იმ პირთ, რომლებსაც სურთ მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში, ევალებათ დაბეჭდილ კონვერტში ჩადებული თავისი განცხადებები საბჭოს დარბაზის კარებთან მოთავსებულ ყუთში ჩაუშვან ან ფოსტით დანიშნულ დრომდე გამოგზავნონ. როგორც პირადად მოტანილ, ისე ფოსტით გამოგზავნილ კონვერტებზე, უნდა იყოს წარწერა: „საჯარო ვაჭრობისათვის ბუფეტების, კარვების და საპირფარეშოების იჯარით გასაცემად. განცხადებებში აღნიშნული უნდა იქნას, სახელდობრ, რა სურს გამომგზავნს მიიღოს იჯარად და როგორია მის მიერ წარმოდგენილი წლიური ფასი ოქროს ფულის ანგარიშით.

განცხადებას თან დართული უნდა ჰქონდეს: 1. წარმოდგენილ საიჯარო ფასიდან 10 პროც. ბეს შეტანის კვითარი. რამოდენიმე დაწესებულების საიჯაროთ მიღების მსურველთ მმართებს ზემოაღნიშნულ წესით შემოიტანონ განცხადებები ყოველი ცალკე წარმოებაზე საიჯარო ფასის 10 პროცენტიან ბეს თანდართვით. 2. განცხადებები შემოტანილ უნდა იქნეს საღერბო გადასახადის თანდართვით. იჯარათ გაცემისას სამმართველო, გარდა წარმოდგენილ ფასებისა, იხელმძღვანელებს აგრეთვე რკინის გზის მეურნეობის ინტერესებიდან გამომდინარე სხვა მოსაზრებით. 3. ის პირები, რომლებსაც იჯარათ აქვთ ამ ჟამად ბუფეტები, კარავები და საპირფარეშოები, უკეთუ მათ ამა წლის 1 მარტამდე სავსებით შემოტანილი არა აქვთ საიჯარო გადასახადი, საიჯარო ვაჭრობაზე დაშვებული არ იქნებიან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10 საათიდან 11 საათამდე, გარდა უქმე დღეებისა, რკინის გზათა სამმართველოში (ტფილისი, ვოკზალის ქუჩა № 1, ოთახი № 64).

256 3—3

ტირაჟი 10,000 ნ. ს. დ. ტ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიული განყოფილების მე-8 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.